# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 226 (5827)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

**კეთილ იყოს!..**

## ლადო გურგენიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრად დაინიშნა



„საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლადო გურგენიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

ლადო (ვლადიმერ) ირაკლის ძე გურგენიძე დაიბადა 1970 წლის 7 დეკემბერს თბილისში.

„საქართველოს ბანკში" ლ. გურგენიძე 2004 წლიდან მუშაობდა, 2006 წლის მაისიდან კი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობდა.

ლადო გურგენიძე 1990 წელს სასწავლებლად აშშ-ში გაემგზავრა, რის შემდეგაც სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სისტემებში მუშაობდა.

## ზურაბ ნოღაიდელმა თანამდებობა დატოვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გუშინ გაკეთდა.

ზურაბ ნოღაიდელი შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდეს.

**ედუარდ შევარდნაძე:**

## სააკაშვილისა და ბურჯანაძის მარცხი ჩემი მარცხიცაა – ესე იგი კარგად ვერ აღვზარდე

საქართველოს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში ქართული მხარის მიერ რუსეთის დადანაშაულებას აბსურდულს უწოდებს.

როგორც შევარდნაძემ გაზეთ „ხანდელსბლატისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, საქართველოს რუსეთის მიმართ ბევრი პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ბოლო დროს მომხდარ მოვლენებში რუსეთის დადანაშაულება საფუძველსმოკლებულია.

„არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები ოპოზიციის ინიციატივაც კი არ ყოფილა. ეს ხალხის მიერ სააკაშვილისა და ბურჯანაძის ხელისუფლების მიმართ გამოხატული უკმაყოფილება იყო. შემეძლო, ეს გამოსვლები შურისძიებად მიმეღო, მაგრამ ასე არ აღმიქვამს. სააკაშვილისა და ბურჯანაძის მარცხი ხომ ჩემი მარცხიცაა – ესე იგი თავის დროზე ისინი კარგად ვერ აღვზარდე", – აცხადებს ყოფილი პრეზიდენტი.

მისი თქმით, პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტის წინ შეკრებილი ხალხის წინაშე თავიდანვე უნდა გასულიყო.

– პარლამენტის წინ უკმაყოფილო ხალხი იდგა. სააკაშვილი რომ თავიდანვე გასულიყო მათთან და ვადამდელ არჩევნებს დაჰპირებოდა, ხალხი მაშინვე დაიშლებოდა. ვინც იგვიანებს, წაგებულია. არასწორი ნაბიჯი იყო ტელეარხების გათიშვაც, – აცხადებს შევარდნაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

**ჭაბუა ამირეჯიბი – 86**

## შე კაი კაცო, თავის დროზე აგესრულებინა შენივე დანაპირები...



*ქართული მწერლობის ცოცხალ კლასიკოსს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ხვალ 86 წელი უსრულდება. წლევამ თავისი ქნა, „დათა თუთაშხიას" ავტორს ურთულესი ოპერაციების შემდეგ საუბარი უჭირს, მაგრამ შესანიშნავად აზროვნებს და, რედაქციის თხოვნით, იგი ჩვენი სამშობლოს დღევანდელ უამრავ სატკივარს წერილით ეხმიანება.*

*გმადლობთ, ბატონო ჭაბუა, იცოცხლეთ, ღმერთმა ინებოს – საქართველოს უკეთეს დღეებს შეგვასწროთ.*

ძვირფასო რედაქცია!

როგორც ჩვენი გასაუბრებიდან მიხვდი, თქვენს გაზეთს აინტერესებს, თუ როგორი გუნება-განწყობილება დამეუფლა გასული კვირის მოვლენების გამო და როგორ ვარ არსებულ ვითარებაში, დღეს მოგახსენებ, რომ ჩემი დამოკიდებულება „დღევანდელი დღის" მიმართ მუდამ და უცვლელად გამოიხატებოდა ხოლმე ილიას გენიალური სამსიტყვედით მაშინაც კი, როცა იგი სრულიად არ მქონდა გააზრებული და ასეც ვარქმევ თქვენთვის შემოთავაზებულ სტატიას –

### ენა, მამული, სარწმუნოება

დღევანდელმა ქართველმა, სულ წაღმა რომ დაატრიალოს ყველაფერი, ამ სამ სიტყვაზე უმჯობეს საარსებო-სახელმძღვანელო მოწოდებას ვერ იპოვის. ამიტომ ამ წერილის დედააზრადაც იმასვე გამოვიყენებ, რისთვისაც მიცოცხლია, მიმოქმედია, ვტანჯულვარ თუ კმაყოფილი ვყოფილვარ ცხოვრებით.

ენა. ერს, რომელსაც ისტორიის კიბით სიარულში ანბანით, დამწერლობითა და მხატვრული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შემოქმედებით თანხლებული ენა ამკობს, მხოლოდ ის წყობილება დააკმაყოფილებს, რომელიც იხელმძღვანელებს შემდეგი დებულებით: ერი არსებობს, ეკონომიკური წინსვლისა და სულიერი განვითარებისათვის, რასაც ეროვნული ენერგია სჭირდება.

ეს ცნება პირველმა ქართულ ცნობიერებაში სულკურთხეულმა ბატონმა გერონტი ქიქოძემ, დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ, შემოიტანა, რისთვისაც მოვალე ვარ, მადლობა მოვახსენო.

დიახ, ეროვნული ენერგიის მუდმივად მზარდი ძლიერება იზრდება, რათა მომავალი არსებობის უზრუნველყოფა მოახერხოს. ვამბობდი და ვიტყვი, რომ ამას, ანუ ეროვნული ენერგიის განვითარებას, სამაგალითოდ საკუთარ ენაზე ან სხვა ერთა მიერ შექმნილი, გადმოქართულებული სულიერი ფასეულობები ასრულებენ. მაგრამ ტრადიციული ქართული ზნეობის დაცვით, შეუსაბამო კულტურათა მტრული შემოტევისა და ენობრივი ბარბარიზმების მიმართ აუცილებელი, კარგად გააზრებული წინააღმდეგობით.

ჩვენ კიდევ შემოგვრჩა ენათმეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც წელისწყვეტამდე ასული ენთუზიაზმით, საქმის ცოდნით ასრულებს დანიშნულებას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ენამ თავისი მთავარი მოვალეობა, ეროვნული ენერგიის განგვითარება უზრუნველყოს, ქართული ენის დეგრადაცია ვითარდება, გამართულად მაუწყებელი დაწესებულებებიც კი ვეღარ ლაპარაკობენ და ეს საქართველოს არსებულ ხელისუფლებას, რომელიც საკუთარი აღიარებით, ქართულ პრესასაც კი არ კითხულობს, ამ გასაჭირისთვის არ სცალია, ანუ უბრალოდ არ ესმის ამ მხრივ ღონისძიებათა გაძლიერების აუცილებელი საჭიროება. ან რა მოეთხოვება მთავრობას, რომელმაც მწერალთა კავშირსა და კომპოზიტორთა კავშირს ლამის საზეიმოდ ჩამოართვა შენობები.

მაგრამ აი, ერთი სააღსრულებლო შეგონება – „იდექ მედგრად და ურყევად!" სიკეთე და ეროვნულობა ათასგზისაც რომ დამარცხდეს, მაინც გამარჯვებაა მისი ხვედრი.

მარჯვენა კოჭივით ალჩუზე ვზივარ.

როგორი განწყობილება მაქვს?

მამული. მინდორ-ველი, სახნავ-სათესი, ტყე, მთა, მდინარეები და წიაღისეული. ყოველივე ამაზე მახლობელი, მაძღარი, რიგიანად ჩაცმულ-დახურული, სამუშაოთი უზრუნველყოფილი, მარადისი ქართველი ერის დღესდღეობითი ნაწილი – ეს არის მამული.

დღევანდელი მამული! ოხრად დარჩენილი მინდორ-ველი, მოუხნავ-დაუთესავი მიწა, გაყიდული თუ გაქირავებული ყველაფერი, რისი მყიდველი და მოქირავნე გამოჩნდა; გაუქმებული მეცნიერებათა აკადემია და უცხოეთის გზავნილი „მოღვაწის" გამგებლობაში ჩავარდნილი სწავლა-განათლება;

ქართველთა ნახევრის იძულებითი ემიგრაცია ლუკმა-პურის საძებნელად და სხვათა მრავალი სიკეთე განპირობებული დევიზით – გაიყიდოს ყველაფერი, გარდა სინდისისა!"

იხ. 2 გვ.

• დადგა დრო, როცა პრეზიდენტი მაკრატლით ხელში სხვათა აშენებული ობიექტების წითელი ბაფთის გასაჭრელად სიარულს შეეშვა, თავისი წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო და ახალი დაპირებებით ცდილობს ამომრჩევლის გულის მოგებას



◉ ჭაბუა ამირეჯიბი – 86

# შე კაი კაცო, თავის დროზე აგესრულებინა შენივე დანაპირები...

(პირველი გვერდიდან)

ჰოი, საკვირველებავ! სინდისის მყიდველი როგორ გამოუჩნდებოდათ, როცა ხელისუფალთ ის ორგანო არც არასოდეს ჰქონიათ, საიდანაც ამ სიკეთის მარაგი იქმნება, თორემ ნგრევა-ჩამორთმევებსა და გამოსახლებებს ისეთი ინტენსივობა ექნებოდა, როგორიც ჩვენს დროში შეიძინა „სახელმწიფოს მშენებლობამ“? ამას ჩვენი ხელმძღვანელობა საჭირო და საპატივცემლო ქმედებად მიიჩნევს, თორემ უზინაოს ქართველ მოღვაწეებს დიდი ხნის ნალოდინ-ნაოცნებარ, მშენებლობაგაუქმებულ ბინებს პრეზიდენტის მითითებით ჩამოართმევდით და მიითვისებდა ქალაქის ხელმძღვანელობა?





ახლა მდინარეების გაყიდვაც ისწავლეს იმის მაგივრად, რომ კარზე ფულის ტომრებით მომდგარი მყიდველისთვის, საკუთარი ილაჯით ბოთლებში ჩამოსხმული ქართული სასმელი წყალი მიეყიდათ, და ხაზინა საგრძნობი თანხებით შეევსოთ.

სარწმუნოება ქართველთათვის ღვთივმოვლენილი მართლმადიდებლობის დიდი მოძღვარი ილია მეორე რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მოელოდა ჩვენს ეკლესიას, რომლის დანგრევის არაერთი ცდა განახორციელა ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ. ხალხს, ინტელიგენციას დროულად რომ არ განეცხადებინა ამ მკრეხელობის მიმართ თავისი პროტესტი, თვითონ ეკლესია იქნებ ულონო აღმოჩენილიყო დაწყებული ნგრევებით.

სარწმუნოება, უწინარეს ყოვლისა, სახარებით მოთავაზებული ათი მცნებით განპირობებული მაღალზნეობისა და ცხოვრების წესია, რაც ორი ათასწლიანი ძალისხმევით დაედო საწყისად და საფუძვლად ქართულ სულიერებას, მაგრამ როგორ უნდა მოსთხოვო უმუშევარს, შვილებდამშეულ, უკლებრივად მიწასთან გასწორებულ ადამიანს მაღალი ზნეობრიობის განუხრელი დაცვა, როცა ქვეყანაში მოსაპარიც აღარაფერია, გარდა იმ ქონებისა, რომელზეც მხოლოდ მარად და მარად სიკეთის მქადაგებელ ჩინოვნიკებს მიუწვდებათ ხელი ე. წ. კანონის ქურდთა კასტის ლიკვიდაციის შედეგად.

ერის წინაშე სისხლის სამართლის დანაშაულია ადამიანის ისეთ ქონებრივ, ნივთიერ მდგომარეობაში ჩაყენება, როდესაც მას აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ თავს უშველოს უცხო ქვეყანაში გაქცევით და, ვინც ეს ვერ მოახერხა, ორი ათას შვიდი წლის ორ ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე იმ სხვა ასიათასთან ერთად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება იმ სინამდვილისადმი, რომელშიც მას ცხოვრება კი არა, დამშეულ-დამცირებული არსებობა უხდება.

ამის შემაცქერალი ვდგავარ და ვიცინი, იუმორის გრძნობას ვერავინ ვერაფერი დამიკლო. ვიცინი, იმიტომ, რომ სატირალი ყოველივე ამის მოქმედთ აქვთ.

სინამდვილის ჩემი შეფასებაა – მოთმინებით ქართველებო! კიდევ ცოტა ხანს უხმეთ მოთმინებას! ხსნა ახლოა.

მომიტინგეთა მოთხოვნებმა ჩვენს მხდალ და ტრაბახა მთავრობას ისეთი შიში მოჰგვარა, რომ ძალის გამოყენებას მიმართა და ათასამდე ადამიანს ნაბეგვობასთან ერთად, შეურაცხყოფაც მიაყენა იმით გამხნევებულებმა, რომ სხვა ქვეყნებშიც თურმე ასე ექცევიან მომიტინგეებს.

მორჩა! უკან დარჩა მხეცობა და სინამდვილეს შეუერთდა ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი მთავრობისადმი. ყოველივე მომხდარის გამო ამერიკელებმა, როგორც ამბობენ, პრეზიდენტს გადადგომა ურჩიეს. ამის პასუხად მან შეძლო მათი დარწმუნება, რომ ხელახლა, უახლოეს ხანში იყრიდა კენჭს და დაარწმუნებდა მათ, რომ ხალხს იგი უყვარს და უიმისოდ სიცოცხლეც არ სურს. ამერიკელებს სხვა კანდიდატი არ აღმოაჩნდათ, დათანხმდნენ.

დადგა დრო, როცა პრეზიდენტი მაკრატლით ხელში სხვათა აშენებული ობიექტების წითელი ბაფთის გასაჭრელად სიარულს შეეშვა, თავისი წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო და ახალი დაპირებებით ცდილობს ამომრჩევლის გულის მოგებას, ანუ ყოველივე იმის აღსრულებას ნაწილობრივ მაინც, რასაც მომიტინგეები მოითხოვდნენ.

შე კაი კაცო, თავის დროზე აგესრულებინა შენივე დანაპირები, აღარც ერთი ილლია შეშით კარდაკარ სიარული დასჭირდებოდათ შენს ხელქვეითებს, აღარც ამნისტიის შეპირება, აღარც მეცნიერებათა აკადემიის „აღდგენა“, აღარც ვაუჩერების ჩამორიგება და აღარც პრეზიდენტად კვლავ ჯდომის საეჭვო შესაძლებლობა დაგაფიქრებდა.

მე, ჭაბუა ამირეჯიბი, როგორ გუნებაზე ვარ? მშვენიერზე, რადგან არცთუ შორეული მომავალი ვიცი ქართველი ერისა.

**ჭაბუა ამირეჯიბი**

თბილისი 15.10.2007

◉ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილი: ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი საქმიანობის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე წარმართვის საშუალება ექნება

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, ბათუმში გამგზავრებამდე საგანგებო მდგომარეობის მოხსნის შესახებ კომენტარი გააკეთა.**

– ამ დღეების განმავლობაში და დღეს საქართველოში არის აბსოლუტური სიმშვიდე, სრული წესრიგი, ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს. მინდა, განსაკუთრებულად მადლობა ვუთხრა ყველა მოქალაქეს, მთლიანად ქართველ ხალხს, რომელმაც გამოიჩინა საოცარი სიბრძნე, საოცარი გონივრულობა, თავშეკავებულობა და მთელს მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ ჩვენ ვართ ორგანიზებული, დემოკრატიული, მშვიდობიანი ხალხი, ერი და სახელმწიფო, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, საგანგებო მდგომარეობის მოხსნის შემდეგ, მოიხსნება ყველანაირი შეზღუდვა პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომელიც ისედაც მინიმალური იყო. – ქვეყანაში ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი საქმიანობის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე წარმართვის საშუალება ექნება, – დასძინა პრეზიდენტმა.

## ლეიბორისტები თავისად მიიჩნევენ

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წევრები აკადემიკოსებისთვის და პედაგოგებისთვის მაღალი ანაზღაურების დანიშვნას, გლეხებისთვის ხეტყის ვაუჩერების დარიგებას და მოვაჭრეებისთვის სალარო აპარატების გაუქმებას პირად მიღწევად მიიჩნევენ.**

პარტიის ოფისში დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე, ლეიბორისტთა ლიდერებმა კახაბერ ძაგანიამ და იოსებ შატბერაშვილმა განაცხადეს, რომ მათ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აიძულეს, აკადემიკოსებისთვის და პედაგოგებისთვის ხელფასი მოემატებინათ, მოვაჭრეებისთვის კი სალარო აპარატები გაეუქმებინათ.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერები მიიჩნევენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე უპირობო გამარჯვებას მოიპოვებენ და ქვეყნის პრეზიდენტი შალვა ნათელაშვილი გახდება.

## ქუთაისის მერმა ქალაქის ახალი მთავრობა დაამტკიცა

**ქუთაისის მერმა ნუგზარ შამუგიამ გუშინ ქალაქის ახალი მთავრობა დაამტკიცა. პირველი ვიცე-მერი სერგო სვანაძე გახდა.**

სვანაძე ამ დრომდე შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი იყო.

ქუთაისის მერის განცხადებით, ახალი მთავრობის დაკომპლექტება პროფესიული ნიშნით მოხდა.

## გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი

**გუშინ გამთენიისას ცნობილი ქართველი მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი გარდაიცვალა.**

**53 წლის გოდერძი ჩოხელი საავადმყოფოში აღესრულა. იგი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ავადმყოფობდა.**

ინტერპრესნიუსი

◉ პოზიცია

# მაქსიმალური ძალისხმევა გვაერთიანებს

## „ქართული აკადემიის“ განცხადება

საზოგადოებისთვის ნათელია, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ქვეყნის აწმყოსა და მომავლისთვის. არსებითად, საქართველო, როგორც ეროვნული სახელმწიფო, დგას ყოფნა-არყოფნის საბედისწერო დილემის წინაშე.

ტელეკომპანიების „იმედისა“ და „კავკასიის“ დახურვა, რისი მოტივაციაც საზოგადოების თვალში, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებლად გამოიყურება, უწინარესად, ემსახურება საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტისა და მისი მმართველი გუნდისთვის „სასათბურე პირობების“ შექმნას, სიმართლის დამალვასა და ოპოზიციური აზრის დათრგუნვას.

ქართველმა საზოგადოებამ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს და ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველა კონსტიტუციური ფორმა უნდა გამოიყენოს, რათა დაუყოვნებლივ აღდგეს რეპრესირებული ტელეკომპანიების მაუწყებლობა, მიეცეთ მათ ნორმალური მუშაობის საშუალება და ამით პრეზიდენტობის კანდიდატებს შეექმნათ თანაბარი საკონკურენციო გარემო. ამით ჩვენ მსოფლიოს იმას დავუმტკიცებთ, რომ არა ვართ უნებისყოფონი, უუნარონი და ვერ შევეგუებით სიტყვის თავისუფლების ცინიკურ ხელყოფას.

ამასთანავე, მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ლეგიტიმური რესურსი, რათა აღდგეს „იმედისა“ და „კავკასიის“ მაუწყებლობა და ამით თუნდაც ელემენტარულად შეუწყონ ხელი დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნასა და ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვას.

დაუშვებელია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველო მარტოდმარტო დატოვოს ხელისუფლების მიერ ქვეყნისათვის თავს მოხვეული ძალადობისა და განუკითხაობის წინაშე, რაც დემოკრატიული ღირებულებებისადმი ქართველი ხალხის რწმენას საბოლოოდ გაანადგურებს.

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

ცხრა თავში ცხრა ჭკუა კი აქვს, მაგრამ ასე ცალ-ცალკე შეკრული ცხრა ჭკუა, სულაც არ აღემატება ერთს გონიერებითა და მოქნილობით



⊙ არჩევანი მე, არადანი შენ

# პრეზიდენტობისთვის, პრეზიდენტობისთვის, პრეზიდენტობისთვის, ბიჭებო, სწორდით!

## ანუ ცხრათავიანი დევისა და ეშმაკი ნაცარქექიას ამბავი

ახლა ქვათა შეგროვების ჟამია.

ქვათა გაფანტვა, ანუ დრო, როცა ჩვენი ოპოზიცია თითო-თითოდ იბრძოდა ქვეყნის ნათელი მომავლისთვის, მადლობა ღმერთს, გავიარეთ და მოვიშორეთ.

გაფანტული ქვები უკვე შეგროვებულია — ოპოზიცია ერთ სულ და ერთ ხორც, ერთ სხეულად არის შეკრული.

ოღონდ, სხეული ერთია, თავი კი მაინც — ცხრა.

ცხრათავიანი დევი, როგორც ზღაპრებიდან გვახსოვს, რკინისმკვნეტელი კი იყო, მაგრამ გონიერებით ვერ დაიკვეხნიდა და იოლად ხდებოდა მოხერხებული ნაცარქექიას მსხვერპლი.

იმიტომ, რომ ცხრა თავში ცხრა ჭკუა კი აქვს, მაგრამ ასე ცალ-ცალკე შეკრული ცხრა ჭკუა, სულაც არ აღემატება ერთს გონიერებითა და მოქნილობით.

აი ახლაც, ჩვენი ძვირფასი ოპოზიცია, ისინიც, ვინც გაერთიანდა ეროვნულ საბჭოში და ისინიც, ვინც არ გაერთიანდა, მაგრამ სხვებთან ერთად ურტყამს ქამარს ლახტის წრეში ჩაყენებულ ხელისუფლებას, მაინც ერთ დევად აღიქმება ხალხის მიერ, რომელსაც ძალიან უნდა, რომ მას ცხრა კი არა, ერთი და გონიერი თავი ჰქონდეს, რადგან კარგად იცის: ცხრისა და ერთის ამ შემთხვევაში არსებული თანაფარდობისას სიმრავლე სულაც არ არის უკეთესობის, სიძლიერის, უტყუარი წარმატების გარანტი.

ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ!

აი, ახლაც, ცხრათავიანმა დევმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ცხრა ჭკუის უჭკუობა გამოამზეურა — 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უკვე 5 (!ძ კანდიდატის სია მოგვაფარა შუბლზე: „გაერთიანებული“ ლევან გაჩეჩილაძე და თვითდასახელებული ბადრი პატარკაციშვილი, შალვა ნათელაშვილი, დავით გამყრელიძე და გია მაისაშვილი.

საკუთარი თავის დასასახელებლად მზაობა გვახარეს იმედელმა ირინა სარიშვილმა და „მწვანე“ გიორგი გაჩეჩილაძემ...

არადა, ჯერ დილაა, მზე რომ შუბისტარზე აიწევს, ვინ იცის კიდევ რამდენი პოტენციური ერის მამა გამოყოფს თავს უსახო მასიდან და ქვეყნის გადარჩენის იმედად მოგვევლინება!

გამორიცხული სულაც არ არის, ირაკლი წერეთელსაც აუჩუჩუნდეს პატივმოყვარეობის ჭია.

შეიძლება ქართლოს ღარიბაშვილმა კვლავ შემოგვაბოლოს ჩიბუხი.

ველოდები როინ ლიპარტელიანი როდის მოვარდება ჩორთით, პრეზიდენტობისთვის, პრეზიდენტობისთვის, პრეზიდენტობისთვის, ბიჭებო, სწორდითო...

მაშ როგორ! ჩვენ ხომ პრეზიდენტების, საერთოდ ლიდერთა ქვეყანა ვართ. ყოველ ჩვენგანში ერის წინამძღოლი თვლემს და საკმარისია სხვაში გამოღვიძებული ეს წინამძღოლი დავლანდოთ, უმალ ჩვენსას მოვაფშვნეტინოთ თვალები და ხელში ხმალ-შუბი შევაჩეჩოთ.

ერთი სიტყვით, 5 იანვრისკენ პრეზიდენტობის კანდიდატთა მთელი კოჰორტით მივაბიჯებთ, რათა 6 იანვარს გულმდუღარედ ვიგლოვოთ დაკარგული შანსი, ვილაცას და რაღაცას გადავაბრალოთ ჩვენი ცხრაჭკუიანი უჭკუობა და საბოლოოდ მაინც ვერ ვისწავლოთ ჭკუა.

ახლა სერიოზულად.

ოპოზიციამ (ვგულისხმობ ოპოზიციას ერთიანად და არა მხოლოდ გაერთიანებულ ოპოზიციასძ ვერ შეძლო თავს მორეოდა (რაც, კაცმა რომ თქვას, ევალებოდა კიდეც ამომრჩეველთა წინაშე მორალური ვალდებულებისა გამოძ — ერთ კანდიდატზე შეჯერებულიყო, რათა ღირსეულად შებმოდა მეტოქეს — ნაცმოძრაობის ერთიან და ერთადერთ კანდიდატს, ვისაც ერთ მუშტად შეკრულნი მხარს უჭერენ სახელისუფლებო პარტია და „მთელი სამეფო სამხედროება“.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ოპოზიციამ ჯერაც ვერ აღიქვა, თუ რა მძლავრ ძალასთან აქვს საქმე, რა შეჯავშნულ კედელს ერქინება.

რატომღაც ჰგონიათ, რომ ამჟამინდელ პრეზიდენტს მხოლოდ „ხალხის საყოველთაო უკმაყოფილება დაამარცხებს“.

არ არის ასე იოლად და სწორხაზოვნად საქმე, ძვირფასო ოპოზიცია, ერთიანოც და გათითოპარტიებულოც.

ჯერ ერთი, ბატონ მიხეილ სააკაშვილს თავისი მომხრეები ჰყავს და თუ თვალებს ფართოდ გავახელთ, დავინახავთ, რომ — საკმაოდ მრავალიც. ამას ისიც დაუმატეთ, რომ დარჩენილ დროში ამ მომხრეთა რიცხვმა, შეიძლება იმატოს და იმატოს, იმ თაფლაკვერების შესაბამისად, რაც უკვე ჩამოურიგეს პედაგოგებს, მედიცინის მუშაკებს, მეცნიერებათა აკადემიის წევრებს ხელფასების მომატების დაპირებით, ბაზრების და ბაზრობების მოვაჭრეებს — სალარო-აპარატების გაუქმებით, პატიმრებსა და მათ ჭირისუფლებს — ფართო ამნისტიით, რაჭის, იმერეთისა და სხვა რეგიონების მცხოვრებლებს — თითოეულ ოჯახზე 5-5 კუბური მეტრი შეშის ვაუჩერის დარიგებით... რიგში სხვა დარგებისა და სფეროების მუშაკებიც დგანან...

უხვად მოსალოდნელია წელს ქვემოთ დარტყმები და მარჯვე სარმა-მოგვერდები.

აი, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ბატონი პრეზიდენტი, თურმე 7 ნოემბერს თავის კაბინეტში გულმდუღარედ ტიროდა და დალურჯებულ ადგილებს იჟღვლემდა — აკი თქვა მედიკოსებთან შეხვედრისას ხატოვნად, იმ დღეს ხელკეტები მეც მომხვდა, გაზმა მეც მაღვრევინა ცრემლებიო.

ძალაუნებურად ნოემბრის მიტინგზე ხარაგაულელთა სახელით გამოტანილი ლოზუნგი გაგახსენდება: „შენ მეისკე, მიშია“...

პრეზიდენტის ზემორე სიტყვებში ნაღდი გათვლა ძევს. ჩვენი ხალხი ღრძო, დიდხანს ბოღმაგამყოლი არ არის, მოისმენს ბატონ მიხეილის ასეთ ამონაკვნესს და გული მოუბრუნდება, ჩვენთან ერთად განუცდიაო, მეტი რა გინდათო.

არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს! საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე სრულიად სერიოზულად აცხადებს, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მომიტინგენი თავს დაესხნენ პოლიციელებსო.

ანუ, უნდა ვიგულისხმოთ: იდგნენ პოლიციელები ხელში ყვავილებით და უბეში გალაკტიონის ლექსებით, მღეროდნენ „შენ ხარ ვენახოს“ და ამ დროს კბილების ღრჭენით თავს დაესხნენ სისხლმოწყურებული მომიტინგეები და ცემით დახეთქეს. ამ დროს, ბუნებრივია, საწყალმა პოლიციელებმა, ნუ გვცემთ, დებო და ძმებოო, მორცხვად „ხელი გაიქნიეს ფეხი“. თურმე ასე მიგვიღია შედეგი: ნაცემი 30 პოლიციელი და 600-მდე მომიტინგე თუ უბრალოდ ქუჩაში ქინძის საყიდლად გამოსული მოქალაქე.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც კი ასეთი ახსნა მისცა მომხდარს: სპეცრაზმელებმა და პოლიციამ „გულისტკივილით, საკუთარი გრძნობების სამშობლოს მომავლისთვის დაქვემდებარებით“ (?!ძ ჩაიდინეს, რაც ჩაიდინესო.

ანუ: წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით, რეზინის ხელკეტებითა და პლასტიკური ტყვიებით, წარმოუდგენელი სისასტიკითა და სიბეჯითით არა უბრალოდ დაშალეს და გარეკეს ხალხი, არამედ გვიან ღამემდე სდიეს მთელ ქალაქში, ბუჩქებსა და სადარბაზოებში, და ურტყეს, ურტყეს, ურტყეს... რაც მთავარია, ეს გააკეთეს გულისტკივილით, საკუთარი გრძნობების სამშობლოს მომავლისათვის დაქვემდებარებით...

ახლა ის რად ღირს, საგანგებო მდგომარეობა რომ გაუქმდა, მაგრამ „იმედის“ მაუწყებლობა არ აღდგა და კაცმა არ იცის როდის აღდგება.

ასე და ამრიგად, სახელისუფლებო კანდიდატს აქვს უზარმაზარი ადმინისტრაციული შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობების გამოყენების შეუზღუდავი სივრცე.

ანუ: ნებისმიერი ფსონის ჩამოსვლა შეუძლია.

იმის იმედად ყოფნა, რომ მრავალი კანდიდატი მას ცალ-ცალკე წაართმევს ხმებს, რომელთა ჯამმაც შეიძლება მეორე ტურამდე მიიყვანოს საქმე, სადაც დაფანტული ხმები შეერთდება და დაამარცხებს სახელისუფლებო კანდიდატს, რბილად რომ ვთქვათ, საკამათოა.

ამბობენ, მეორე ტურში მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთ კაცს დაუწვება, რომელიც გამოაცხადებს ამ სპექტრის ნებას, რომ გამარჯვების შემთხვევაში შემოიღებს საპარლამენტო მმართველობას და როგორც კი ამას აღასრულებს, თანამდებობიდან გადადგებაო.

გაგიხარიათ, კარგი იქნება, ასე რომ მოხდეს, მაგრამ ამ ვარაუდში იმდენი „თუა“, რომ ძალაუნებურად ეჭვი შეგიპყრობს, მოვესწრებით კი ამას, მივალთ კი იქამდე, მართლაც ისე იდეალურად, „მოჭიქურებულად“, უმტკივნეულოდ წარიმართება საქმე, როგორც აღგვითქვამენ და გვაიმედებენ?..

ვაითუ...

სხვისი არ ვიცი და მე პირადად მგონია, რომ ერთადერთი იმედი ოპოზიციის წარმატების მიღწევისა მართლა ერთობაშია.

ჰოდა, იქნებ თავიდანვე, დღეიდანვე სჯობს თადარიგის გაწევა: ოპოზიციის ერთი, შეჯერებული კანდიდატი — ერთი სახელისუფლებო კანდიდატის პირისპირ (რა თქმა უნდა, საკაზმად თითო-ოროლა ღარიბაშვილი და ლიპარტელიანიც შეიძლება გარედან...ძ.

ალეკო ასლანიშვილი

⊙ ინფორმაცია

### ანა-ბანა, ანა-ბანა, მიშამ შეშა მოგვიტანა

სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახებისთვის შეშის დარიგების პროცესს გუშინ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი დავით ჩანტლაძე და იმერეთის გუბერნატორი აკაკი ბობოხიძე დაესწრნენ.

თითოეულმა ოჯახმა ხუთი კუბური მეტრი შეშა უსასყიდლოდ მიიღო. გარემოს ერთ-ერთმა ლიცენზირებულმა ფირმამ ჭიათურაში უკვე უზრუნველყო 200 უმწეო ოჯახისთვის შეშის სახლებში მიტანა.

აღნიშნული პროცესი იმერეთის სხვა რაიონებშიც გაგრძელდება.

### მნიშვნელობა არა აქვს, ბურჯანაძე პარლამენტიდან მართავს ქვეყანას თუ კანცელარიიდან

საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ, მინისტრთა კაბინეტი მოვალეობის შესრულებას გააგრძელებს.

ამის შესახებ მთავრობის კანცელარიის უფროსმა პეტრე მამრაძემ განაცხადა.

მამრაძის თქმით, პრემიერ-მინისტრის დანიშვნა ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ხდება. პრემიერს და მინისტრებს პარლამენტში სამთავრობო პროგრამასთან ერთად უყრიან კენჭს.

პრეზიდენტმა თანამდებობა არჩევნებამდე 45 დღით ადრე უნდა დატოვოს.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი 45 დღით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იქნება. პეტრე მამრაძის განცხადებით, ბურჯანაძეს შეუძლია მოვალეობის შესრულება, როგორც მთავრობის კანცელარიიდან, ისე - პარლამენტიდან. „ოთხი წლის წინ, როცა ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, იგი ხშირად მოდიოდა კანცელარიაში, პარლამენტიდანაც მუშაობდა. ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს“, — აღნიშნა მამრაძემ.

ინტერპრესნიუსი

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

# ადუღებული დრო

**„უგნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმა ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედს“**



## მოგისმინეთ!

***პატივცემულო რედაქცია! ყოველი ერისა თუ სახელმწიფოს ისტორიაში არსებობს ის ძირითადი მომენტი, ათვლის საწყისი ეტაპი, რომლიდანაც იწყება ამ ქვეყნის სულიერი და პოლიტიკური აღმასვლა, აღორძინება, რაშიც მოცემული ერისა და ქვეყნის პოტენციალი და შესაძლებლობა ვლინდება. ამ ფორმულიდან გამომდინარე, სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე საქართველომ XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კვლავ აღიდგინა 1918 წლის 26 მაისს.***

# ვის უხმობს ხელმწიფის სავარძელი

მაღალმა ღმერთმა უწყის მხოლოდ, როგორ სჭირდებოდა ახალფეხადგმულ დემოკრატიულ საქართველოს ქართულ თარგზე მოჭრილი და ევროპულად განათლებული ლიბერალი ილიას ჭკუა-გონება. მაგრამ ის ხომ იმიტომ მოკლეს, რომ სოციალისტურ დემოკრატიას ილიას და მისი მრავლისნაირი „ჩამორჩენილი“ ნაციონალები არ სჭირდებოდა. ამ ახალ, თავისუფალ საქართველოს დაბადებასთან ერთად იშვა მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე ჭირისუფალი და სეხნია გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“.** იქიდან მოყოლებული პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენი სახელმწიფოს მძიმე პოლიტიკური და სოციალური ყოფის ჭეშმარიტად ობიექტურ და თვალმოუხუჭველ პოლიტიკურ მეთვალყურედ და მაჯისცემის შემტყობარ უსერიოზულეს ბეჭდურ ორგანოდ გვევლინება, რომელიც სწორ და ზუსტ მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დამყარებულ და დაყრდნობილ პრაქტიკულ რჩევა-რეკომენდაციას ყოველთვის აწვდიდა და ამჟამადაც სთავაზობს ვისაც ჯერ არს.

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, ჩვენდა სამწუხაროდ სასიამოვნო ფაქტებს, ძალზე ხშირად ქართველებისთვის დაუვიწყარი სამწუხარო მოვლენები ენაცვლებიან: 1956 წლის მარტი, 1989 წლის აპრილი, 1991-92-93 წლების სულისშემძვრელი სისხლიანი პოლიტიკური მოვლენები. ამის პარალელურად ჩვენს უახლეს ისტორიას ამშვენებს: 1990 წლის 28 ოქტომბერი; 1991 წლის 31 მარტი; 1991 წლის 9 აპრილი და ა.შ.

ზემოთ დასახელებული ჩვენი უახლესი ისტორიის დამამშვენებელ სასიხარულო მოვლენებს მიეკუთვნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის არჩევა. მაგრამ შემდეგ რაც იყო, იყო...

**მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ პერიოდის განმავლობაში სამი პრეზიდენტის „გამოშვება“ მოგვიხერხდა და, მერე რა... გარკვეულ „ობიექტურ“ მიზეზთა გამო სამივეს ვადაზე ადრე ჩამოვართვით ჩვენივე მინიჭებული ძალაუფლება და ჩვენი გონიერების საკადრისი მარგი ქმედების კოეფიციენტი თუ პროცენტი რომ ვერ გამოვადნეთ, ალბათ, ყველანი ვხედავთ და ვგრძნობთ. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ყველაფერი კრიზისს განიცდის და მხოლოდ შიშველი ფაქტების კონსტატაცია საქმეს რომ შველოდეს, კაი ხნის მორჩენილები ვიქნებოდით.**

ისე, ჩვენში დარჩეს და, ღვთის წინაშე, წინ და თავში მყოფ პრეზიდენტზე უფრო ღვთივ-კურთხეული ბაგრატიონთა ისტორიულ სამეფო ტახტზე მორჭმულად მჯდომი სვებედნიერი, მირონცხებული გიორგი V დემეტრეს ძე „ბრწყინვალეს“ დარი მეფე პატრონი ისე გვჭირდება, როგორც სკას დედა ფუტკარი, მაგრამ ჩვენმა ბედმა, უფრო სწორად უბედობამ, რაც გვჭირს და ყოფაშიც ვართ, ეს მოგვისაჯა!

სხვათა შორის, ჩემთვის ფრიად საპატივცემლო ამავე გაზეთში 2004 წლის თებერვალში დავწერე, დავბრძენებულვართ ქართველები-თქო. სულოცოდვილო, ისიც აღვნიშნე, ვისი „ბრალიც“ იყო წინა ნოემბრის მეორე დეკადაში ასე მშვიდობიანად მოგერიებული ე. წ. „ვარდების რევოლუცია“. **ამ დღეებში, განსაკუთრებით კი 7 ნოემბერს, რისი მნახველიც გავხდით, მართლაც ვაი და უი ასეთ მოსწრებას და, ისევ ჩვენ ბრძენ წინაპარ კოლხ ფარტაზს მოვუსმინოთ: „უგნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმა ტრიალს და მათ არ აშფოთებთ ცვლილებები, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედს“.**

ამოვისუნთქე, როგორც იქნა მივადექი თუ მივუახლოვდი ჩემს მთავარ სათქმელს: **„მე მინდა ვიყოთ ერთ მუშტად შეკრული, შემართული, გამარჯვების რწმენით ანთებული ერი. მე მინდა ვიყო ამ ერის ლიდერი, მე მინდა ვიყო ამ ერის რჩეული, მაგრამ ეს თქვენი გადასაწყვეტია. მინდა გითხრათ, რომ ეს იქნება ყველაზე დემოკრატიული, ყველაზე თავისუფალი, ყველაზე გამჭვირვალე არჩევნები“.**

ეს ამონარიდი საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის 2008 წლის 8 ნოემბრის საგანგებო განცხადებიდანაა მოყვანილი. იმთავითვე ამბობს, **„მე ვაძლევ ოპოზიციას შანსს მართლაც გახდეს ხალხის რჩეული, თუ ის ამას იმსახურებს“.** ვერაფერს იტყვი, შესანიშნავადაა ნათქვამი. კეთილი და პატიოსანი. თავის თავში დაჯერებული იმედიანი კაცის განცხადებაა, რაც ქვეყნისთვისაა მომგებიანი. და თუ რატომ ქვემოთ მოგახსენებთ.

მას შემდეგ „რაც რკინის ფარდა ჩამოხსნეს“, ფარდის აქეთ მყოფმა ქართველებმაც „გავიგეთ“ ესპანელი ხოსე ორტეგა გასეტის ასი წლის წინათ ნათქვამი სიტყვები. **„თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკური ცხოვრების გარეთ არ დგას არც სწავლული და არც უვიცი, არც გლეხი და არც მენეჯერი – ყველა ჩაბმულია პოლიტიკურ ცხოვრებაში“.**

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტობის მსურველთა შორის, ბუნებრივია, პარტიული ლიდერები სჭარბობენ. მისასალმებელია დიდი ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობა. არადა, სულგანათლებული ორტეგა თავის პოლიტიკურ ფორმულირებაში, პოლიტიკური ვიოლინოს გასაღების როლს ხომ სწავლულს უთმობს! თუნდაც ამიტომ, პოლიტიკური კრიზისიდან გონივრულად თავდაღწევის გზის მძებნელმა ჩვენმა საზოგადოებამაც და განსაკუთრებით კი მისმა მმართველმა №1 ხელისუფალმა ჩვენს მიერ მოწონებული მისი საგანგებო განცხადების სიტყვების პოლიტიკური რეალიზაციისთვის უყოყმანოდ უნდა ისარგებლოს პარლამენტის თავმჯდომარის და საპარლამენტო უმრავლესობის, ჩემი ღრმა რწმენით, გაერთიანებული ოპოზიციის და, რა თქმა უნდა, სრულიად საქართველოს გონიერი საზოგადოების საერთო აზრის და სურვილის გათვალისწინებით – 2008 წლის 5 იანვარს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის მოიხსნას საპრეზიდენტო კანდიდატის რეგისტრაციისთვის, ძალიან რბილად რომ ვთქვათ ყველა ის „მახვილგონივრული“ წინააღმდეგობა, რაც პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციას შეუშლის ხელს დროის დეფიციტის პირობებში.



ბატონო პრეზიდენტო! თქვენი და ყველა ქართველის სანატრელი ზემოთ გაცხადებული სურვილი მხოლოდ ამგვარი მოქმედების შედეგად შეიძლება შესრულდეს. და კიდევ, ძაღლს ვინც მოკლავს, მანვე უნდა გადაათრიოს. რასაც ვგულისხმობ, ახლავე მოგახსენებთ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენთვის სამწუხაროდ, საქართველოში ყველაფერი კრიზისს განიცდის და, **მხოლოდ შიშველი ფაქტების კონსტატაცია საქმეს რომ შველოდეს, კაი ხნის მორჩენილები ვიქნებოდით-მეთქი.**

ძალიან არ მინდოდა ამ სიტყვების გამეორება, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენი სამწუხარო რეალობაა. ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, აბსოლუტურად აუხსნელი და ძალზე სამწუხარო ფაქტი იქნება, თუ მსოფლიო სახელის ქართულმა მრავალდარგოვანმა მეცნიერულმა სამყარომ არ წარმოადგინოს მათი კრებსითი აზრი ზემოთ აღნიშნული მძიმე მდგომარეობიდან ჩვენს თავდასაღწევად. ამიტომ, ყოველგვარი რევერანსების გარეშე, პირდაპირ ვამბობ, რომ **ჩვენი ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის, საზოგადოება „ქართული აკადემიის“, უნივერსიტეტების სამეცნიერო ცენტრებმა ერთობლივად რომ დაასახელონ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ქართული მეცნიერების სახეთაგან ერთ-ერთი, განა ის დაამახინჯებს იმ კოჭორტას, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია?**

ეს საუბარი იქითკენ მიმყავს, რომ ისეთ მიწიერ საკითხში, როგორიც პოლიტიკური არჩევანია, ღმერთი არ ერევა. ამიტომ, საქართველოს ამომრჩეველი იტყვის, თუ ვინ უნდა დაბრძანდეს საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში.

ვინც იქნება ბედის და ხალხის რჩეული პირველი პირი, მან საზეიმო ფიცის დადების დროს უნდა აღუთქვას მის დამფასებელ სამშობლოს, რომ თავის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე იმუშავებს და იბრძოლებს ყველა იმ საპრეზიდენტო პროგრამის მოთავეობით, ყველა იმ მიზნის შესრულებისთვის, რაც მის პოლიტიკურ კონკურენტებს აქვთ.

მართალია ძნელია, მაგრამ ამას მოითხოვს ჩვენი ერი და ერთადერთი და შეუცვლელი, დროებით შეჭირვებული სამშობლო – საქართველო!

თუ ასეთ სიტყვა-დაპირებას არჩევნებამდე დარჩენილ დროში და არა მის შემდეგ, მოისმენს ყველა პრეზიდენტობის კანდიდატისგან საქართველოს ამომრჩეველი, ამით მოიგებს ერი და ბერი – ე. ი. ჩვენ ყველანი!

ამ ჩემს ურყევი მრწამსით დაწერილ წერილს ვამთავრებ დიდი ფილოსოფოსისა და პედაგოგის ჟ. ჟ. რუსოს სიტყვებით: **„მცდარიც რომ იყოს ჩემი აზრები, თუ ისინი სხვებს კარგ აზრებს გაუღვიძებენ, ტყუილუბრალოდ არ გამიცდენია დრო“...**

**ისიდორე ჯანელიძე**

## ინფორმაცია

### ოპოზიცია ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

**ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი სერგეი სტანიშევი გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა.**

შეხვედრას ოპოზიციის წარმომადგენლებიდან „კონსერვატორი“ კახა კუკავა, „რესპუბლიკელი“ დავით უსუფაშვილი, „მემარჯვენე“ ირაკლი იაშვილი და გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა დაახლოებით ნახევარ საათს გრძელდებოდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სერგეი სტანიშევმა აღნიშნა, იგი მიესალმება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების 5 იანვარს ჩატარებას და რომ ეს სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მისი თქმით, საქართველოს ევროპელი პარტნიორებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების სტაბილიზაცია. ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ 5 იანვარს ქართული საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს.

როგორც გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე საუბარი საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და დაგეგმილ არჩევნებს შეეხო.

„ამ არჩევნებმა შეიძლება საქართველო მდგომარეობიდან გამოიყვანოს ან, შეიძლება, არ გამოიყვანოს. ისეთი წინაპირობა იქმნება, რომ ეს არჩევნები დემოკრატიული არ იქნება, არ იხსნება მედია, კონკრეტულად, ტელეკომპანია „იმედი“, – აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ოპოზიციას დაპირდა, რომ ამ მესიჯებს პრეზიდენტამდე მიიტანს.

ინტერპრესნიუსი

# რა დღეშია ვართ

● ჩვენ მაშინვე მოვახდინეთ ამ ბრალდებაზე რეაგირება, რომელიც თურმე ბატონ ნიკა რურუას ეთერში გაუგია

**საგანგებო ინტერვიუ**

# ტელეკომპანია „იმედს" სახელმწიფომ მილიონობით ზარალი უნდა აუნაზღაუროს!

## რატომ უხვრეტდნენ შუბლს ბიძინა ბარათაშვილს?

*საგანგებო მდგომარეობის გაუქმებასთან ერთად, აღდგება ტელე და რადიომაუწყებლობა, თუმცა, როგორც გაირკვა, ტელეკომპანია „იმედი" ჯერჯერობით ეთერში ვერ გავა, რადგან მისი ლიცენზია და ქონება დაყადაღებულია.*

*„იმედის" გენერალურ დირექტორს ბიძინა ბარათაშვილს 7 ნოემბრით დათარიღებული საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მხოლოდ 13 ნოემბერს გადასცეს. რა მოხდა 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში"? ამის თაობაზე, ბატონ ბიძინას ვთხოვეთ, დაწვრილებით მოეთხრო ეს ისტორია.*

– რაიმე გაფრთხილება არც აქციამდე, არც წინა დღეებში და არც იმ დღეს არ მიგვიღია. სპეცრაზმი და სხვა სამართალდამცველთა დიდი რაოდენობა შემოიჭრა „იმედში". არანაირი დოკუმენტი არ უჩვენებიათ არც მაშინ, არც აქციის შემდეგ. გუშინწინ შევხვდი პროკურატურის წარმომადგენელს, რომელიც იძიებს ბატონი ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს ბრალდების ასეთი კვალიფიკაციით – შეთქმულება სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. ეს იყო 13 ნოემბერს გამართული პირველი ოფიციალური შეხვედრა, როცა ჩვენ გადმოგვცეს 7 ნოემბრით დათარიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ქონებისა და სამაუწყებლო ლიცენზიის დაყადაღებაზე.

ამავე ადამიანმა წამაკითხა თავისი მოხსენებითი ბარათი – შიდასამსახურებრივი დოკუმენტი, რომელშიც წერია, რომ ის მოვიდა ტელეკომპანიის ტერიტორიაზე, გვეძებდა, მაგრამ ვერავინ იპოვა, რადგან იქ ძალიან ბევრი ხალხი იყო.

იმდენად სასაცილოა ეს ყველაფერი, რომ ამ თემაზე სერიოზულ განსჯას არ ვაპირებ.

ავუხსენით, რომ ეს ხალხმრავლობა სპეცრაზმის მოსვლამ გამოიწვია... მანამდე კი მსგავსი არაფერი ყოფილა. ამაზე გვიპასუხა, შემომასწრესო,რაც თავისთავად ყველანაირ ლოგიკას სცილდება – ჯერ ეს კაცი უნდა მოსულიყო, დოკუმენტი მოეტანა. თუ არ დავთანხმდებოდით ტელემაუწყებლობის გათიშვას, ამის შემდეგ აღმასრულებელი უნდა მოსულიყო და არხი გამოერთო, ანუ ერთი კაცი და არა ათასი კბილებამდე შეიარაღებული ადამიანი.

მაგრამ ამაზე სერიოზულად ლაპარაკი ძალიან სასაცილოა... თურმე, იგი ეზოში დარბოდა და ვერავინ იპოვა... მერე ვკითხე, 6 დღე სად იყავი-მეთქი, ამაზე მიპასუხა – თურმე მე ტელეფონი გამომირთავს და 6 დღე მეძებდა და ვერ აღმომაჩინა... თბილისში ვერ მიპოვა, როცა ბრაიზამ მიპოვა, პროკურატურის გამომძიებელმა კი რატომღაც ვერ აღმომაჩინა.

**– ანუ გამოდის, რომ ჯერ სპეცრაზმი შემოვიდა „იმედში" და დოკუმენტი მერე შეიმუშავეს?**

– ცხადია, ასეა.

**– სპეცრაზმი როგორ შემოვიდა, დაცვასთან რაიმე უთანხმოება ჰქონდა?**

– არანაირი უთანხმოება დაცვასთან არ შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან დაცვა უფლებამოსილი არ არის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს წინააღმდეგობა გაუწიოს. ისინი – გარედაცვა – დააწვინეს სველ ასფალტზე, შიგნითაც, როცა მე პირველ სართულზე ჩავედი, დაცვის და ჩვეულებრივი თანამშრომლები, მათ შორის ქალებიც იატაკზე იწვნენ. ვიკითხე, ვინ ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს და სად იყო ამ ქმედების დამადასტურებელი დოკუმენტი? შევეცადე მათთვის ამეხსნა, რომ „იმედის" გენერალური დირექტორი ველაპარაკებოდი და მზად ვიყავი ნებისმიერი მათი გადაწყვეტილება უსიტყვოდ შემესრულებინა. ამისთვის აუცილებელი არ იყო ხალხის იატაკზე დაწვენა. უნილბო სპეცრაზმელმა შუბლზე ავტომატი დამადო (არ ვიცი, შეიძლება უფროსიც იყო,ძ – ბარათაშვილო, შუბლს გაგიხვრეტო.

ეს არის დემოკრატიული ქვეყნის მეთოდი?



**– მასმედიაში გახმიანდა, რომ ჟურნალისტებს შეურაცხყოფა მიაყენეს, ზოგიერთი დაშავდა...**

– ისინი იატაკზე დააწვინეს, ზოგმა ტრავმა მიიღო, ერთ გოგონას თავი გაუტეხეს, მაგრამ ხელალებით არ შემიძლია ვთქვა, რომ მათ შენობაში სცემდნენ. იყო გინება, მრავალ შეურაცხმყოფელი შეძახილი, მაგრამ ბრალს ვერავის დავდებ, რომ ხალხს ურტყამდნენ. რამდენიმე ადამიანს ხელკეტი მოხვდა, მაგრამ ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რომელსაც ჩვენი საჩივრის შემდეგ მსვლელობა მიეცემა. რათა გაირკვეს, რამ გამოიწვია კონკრეტული ფიზიკური შეურაცხყოფა.

**– რა წერია სასამართლო გადაწყვეტილებაში, რაზე გედავებიან?**

– ამ ფარატინა ქაღალდით გაუგებარია,რა უნდათ ჩვენგან. იქ წერია, რომ ყადაღის რეალური მიზეზი თურმე ბადრი პატარკაციშვილის მფლობელობაში მყოფი ტელეკომპანია „იმედის" მიერ გავრცელებული განცხადება ყოფილა. ეს განცხადება სხვა ტელეკომპანიებმაც წაიკითხეს და ის ჩვენ ოფიციალური წყაროებით მივიღეთ. პრესცენტრმა საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით გაავრცელა. მაშინ სხვა არხები რატომ აღარ დახურეს? შეიძლება ერთი და იგივე ქმედების გამო ერთი კომპანია დალუქო, დააყადაღო, მოგვიანებით რაღაც დოკუმენტები შექმნა, დანარჩენებზე კი ხმა არ ამოიღო?

**– ბატონმა ნიკა რურუამ განაცხადა, რომ გაიგონა ხმა, რომელიც ხალხს პარლამენტში შევარდნისკენ მოუწოდებდა? ეს ქალი ხელისუფლებამ „იმედის" ჟურნალისტად აღიქვა... მართლა ასე იყო?**

– ეს აბსოლუტური სისულელე და ნაბოდვარია. ჩვენ მაშინვე მოვახდინეთ ამ ბრალდებაზე რეაგირება, რომელიც თურმე ბატონ ნიკა რურუას ეთერში გაუგია. ჩვენ ვკითხეთ, – ვინ თქვა ეს სიტყვები? მან აგვიხსნა, – დავინახე მიკროფონიანი ხელი და გავიგე ქალის ხმაო. ვინ იყო ეს ქალი, ვინმემ ნახა მისი სახე? რადგან ხელი დაინახეს, ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ჟურნალისტმა წარმოთქვა ის სიტყვები?

ანდა, სამების ტაძრის გამო რომ დაგვაბრალეს... არავის უთქვამს, რომ სამებაზე თავდასხმა მზადდებოდა. რეპორტიორის საქმეა, სადაც იმყოფება, იქაური ვითარება გადმოსცეს. ჩვენმა ჟურნალისტმა თქვა, რომ სამების ეზოში ხალხია შეკრებილი, ხოლო ქუჩის დასაწყისში, ქვემოთ დგას შეიარაღებული სპეცრაზმი, და ტაძრის ეზოში შეკრებილ ხალხში გავრცელებულია შიში, ვაითუ,

იხ. 8 გვ.

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

**კითხული კაცის აზრი**



# ნიკო ორველაშვილი – პრეზიდენტი მზად არის დაარიგოს მთელი ქონება, მოიგოს ხალხის გული, ოლონდ რამენაირად 5 იანვარს გაიმარჯვოს

*ხელისუფლებამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომლებსაც თავის დროზე საზოგადოების სხვადასხვა ფენის და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აქტიურად ითხოვდნენ. პრეზიდენტმა გადაწყვიტა მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატება და ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების დარიგება, აკადემიკოსებისთვის მინიმალური 1000-ლარიანი ხელფასების დანიშვნა, პენსიონერებისთვის გაზისა და დენის ვაუჩერების დარიგება, მსჯავრდებულების გარკვეულ ნაწილზე ამნისტიის გამოცხადება და დასაქმების ახალი პროგრამის დაწყება. დღეს კი ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება ბაზრებსა და ბაზრობებზე სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებასაც აუქმებს. ამასთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსი" ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტს ნიკო ორველაშვილს ესაუბრა.*

**– ეკონომიკური თვალსაზრისით, თქვენთვის რამდენად მისაღებია ხელისუფლების გადაწყვეტილება ბაზრებსა და ბაზრობებზე სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულების გაუქმებასთან დაკავშირებით? თავის დროზე, სალარო აპარატების შემოღებას სხვებთან ერთად თქვენც აქტიურად აპროტესტებდით.**

– ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, რა ხდება. სალარო აპარატები, რომლითაც აპირებდნენ დაებეგრათ ყველაზე დაბალშემოსავლიანი ფენის, ეკონომიკურად აქტიური ადამიანები, შეცდომა იყო. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს გახლდათ ბიზნესის ჩანასახშივე ჩაკვლა, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას დაამძიმებდა. ჩვენმა ხელისუფლებამ არავის სალი აზრი არ შეისმინა. ბიზნესის განვითარების ხელშეშლისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტები, როცა ხელისუფლებამ სრულიად კანონიერ მფლობელობაში არსებულ ქონებას, სავაჭრო პუნქტებს თუ სხვა ტიპის ობიექტებს, უზოდიშოდ ბულდოზერებით გადაუარა, პოლიცია, რომელსაც მესაკუთრეები უნდა დაეცვა, მათ სცემდა და ხელკეტებით დასდევდა.

დღეს ამის საპირისპიროს ვხედავთ. გამოდის ქალაქის ვიცემერი ახვლედიანი და ხალხს პირიქით მოუწოდებს, ვისაც უკანონოდ გაქვთ მითვისებული რამე ობიექტი, მობრძანდით და დაგიკანონებთო. ზუსტად იგივე ხდება მცირე დანაშაულებებზე, როდესაც პრეზიდენტი ამნისტიის გამოცხადებას აპირებს.

საოცარია, პრეზიდენტი ადრე პედაგოგებს ეუბნებოდა, მოითმინეთ, ჯერ კარგად უნდა შევლებო შენობები და მერე თუ რამე დარჩება, ხელფასებს მოგიმატებთო, ახლა უცებ აღმოაჩინა, რომ თურმე მთავარი პედაგოგები ყოფილან.

რატომ გადააბრუნა ფირფიტა პრეზიდენტმა?! ძალიან მარტივად იშიფრება. მეც და ჩემი კოლეგებიც, რომლებიც ვცდილობდით, ვყოფილიყავით მიუკერძოებელი და ობიექტური შემფასებელი ამ ხელისუფლების ნაბიჯებისა, პრეზიდენტს თავიდანვე ვეუბნებოდით, რომ არ შეიძლება შენს ხუშტურებზე მართო ქვეყანა, არსებობს კანონზომიერებები. პრეზიდენტი მაშინ მღეროდა „მე ვარ და ჩემი ნაბადიო".

5 იანვარს დანიშნულია საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტი სააკაშვილი მზად არის დაარიგოს მთელი ეს ქონება, მოიგოს ხალხის გული და დაჰპირდეს ყველაფერს, ოლონდ რამენაირად 5 იანვარს გაიმარჯვოს. თუკი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი მოახერხებს მოსახლეობის მოსყიდვის გზით კიდევ ერთხელ გაბრიყვებას და ხელისუფლებაში დარჩენას, ეს პირადად ჩემთვის უზარმაზარი ეროვნული ტრაგედია იქნება.

**– ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გააანალიზეს მათი საქმიანობა, კრიტიკულად აფასებენ ბევრ რამეს და ცდილობენ შეცდომების გამოსწორებას...**

– ცრემლსადენი გაზის მარაგი ამოეწურათ? თქვენ გჯერათ? მე ამის არ მჯერა. ვისაც სჯერა, რომ ეს ხელისუფლება ზნეს შეიცვლის, გონება გაუნათლდება და სულში სიკეთე ჩაუსახლდება, მე მათი მშურს. მე ამის არ მჯერა!

**კობა ბენდელიანი,**
**„ინტერპრესნიუსი"**

# თვალში ნაცარი

• თუ ქვეყანაში იქნება მცირე მეწარმეობა, იქნება ხალხის დასაქმება, ეკონომიკური ზრდა, სოციალური კეთილდღეობა, სამხედრო ძლიერება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა



◉ რა დღეშიც ვართ

# ხელისუფლება ტყუილებს ასაქმებს

## უმუშევრობა საქართველოში 28 პროცენტით კი არ შემცირდა, ამდენივე პროცენტით გაიზარდა

*ქვეყნის პრეზიდენტის ნაღვაწის განქიქება აბა რა საკადრისია, მაგრამ როცა ამის საბაბს თავად სახელმწიფოს მეთაური იძლევა, მართალმტყუანის დადგენა, მერწმუნეთ, ერთობ საჭოჭმანო ხდება. ამიტომაც ძნელია გაამტყუნო ხალხი, რომელმაც ტელეკომპანია „იმედის" არხზე ნოემბრის მძიმე დღეებში პრეზიდენტის არაერთი დაპირება მოისმინა და მასზე „თანასწორობის ინსტიტუტის" მინაწერი — „იტყუება" — დაიჯერა. არადა, ხომ ფაქტია, რომ ის, რასაც პრეზიდენტი არჩევნებამდე ხალხს ჰპირდებოდა, არჩევნების შემდეგ საპნის ბუშტივით გასკდა. მართალია ქვეყნის რჩეული „იმედის" უიმედობამ გაალიზიანა და მაუწყებლობა სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც დაადუმა, მაგრამ ტყუილები, რაზეც იქ იყო საუბარი, ხალხის მეხსიერებაში ხომ დარჩა?*

*დარჩა რომელია, ზოგმა პრეზიდენტის დასაქმების ახალი პროგრამაც არ დაიხვალია და მას ეჭვის თვალით შეხედა. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებთან სულ ახლახან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა დამაჯერებლად და დაბეჯითებით განაცხადა. „ჩვენი მთავარი ამოცანაა დასაქმება, დასაქმება და დასაქმება!"*

*ქვეყნის პრეზიდენტს ამ მართლაც შესანიშნავ ინიციატივასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ ყოფილ პარლამენტარს, საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარეს ანზორ საკანდელიძეს:*

— პრეზიდენტის გამოსვლა მეც დიდი ყურადღებით მოვისმინე. განსაკუთრებით მომეწონა მისი სიტყვები, გნებავთ, მოწოდება: „დასაქმება, დასაქმება და დასაქმება", რომელმაც რატომღაც გამახსენა ბავშვობისას უკვე არაერთგზის მოსმენილი პროლეტარიატის დიდი ბელადის — ვლადიმერ ლენინის ცნობილი ლოზუნგი: „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!"

ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც მაინც და მაინც პრეზიდენტობის დასასრულს გაუსკდა სიყვარულის ბუშტი დასაქმებაზე, მინდა გავახსენო მისი პრეზიდენტობის დასაწყისშივე, კერძოდ, 2004 წლის 6 მარტს კინოთეატრ „ამირანში" გამართულ მცირე მეწარმეთა ფორუმზე პირადად ჩემს მიერ გადაცემული, პროფესიონალი სპეციალისტების მიერ დამუშავებული „საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამა-დეკრეტი", რომელსაც მხოლოდ ქვეყნის მეთაურის ხელმოწერაღა აკლდა. ეს იყო საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი პაკეტი, რომლის ამოქმედებითაც საქართველოში ძირითადად გადაწყდებოდა ხალხის დასაქმების ყველაზე მწვავე პრობლემა.

**— მერე, რა ბედი ეწია იმ თქვენს პროგრამა-დეკრეტს?**

— ვიცი და არ გეუხნებით? პრეზიდენტმა ის დეკრეტი ჩვენს თვალწინ გადასცა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო „გაზით გაგუდული". ფაქტი ის გახლავთ, რომ მას შემდეგ ამის თაობაზე არავინ შემხმიანებია. ვვარაუდობ, რომ დოკუმენტი გადაეგზავნა ზურაბ ნოლაიდელს, რომელმაც ის სანაგვეზე მოისროლა, ისევე როგორც ჩვენი ასოციაციიდან მის სახელზე გაგზავნილი არაერთი წერილი და კანონპროექტი. ამიტომ ვიძახი, უკვე რამდენი ხანია, რომ ვიდრე თავად ნოლაიდელს არ მოვისვრით პოლიტიკურ სანაგვეზე, საქართველოში არც მცირე მეწარმეობას და არც, საერთოდ, ხალხის დასაქმებას არაფერი ეშველება.

**— პირადად რომ შეხვედროდით პრეზიდენტს, იქნებ საქმე დაძრულიყო?**

— ეგეც ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. არადა, პირად საუბარში მინდოდა, უტყუარი ფაქტებითა და უცილობელი დოკუმენტებით დამერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ ნოლაიდელი ქვეყნის ეკონომიკას და პირადად მას პოლიტიკურ სამარეს უთხრიდა.

**— კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თქვენი აზრით, ვინ არის ნოლაიდელი?**



— პრეზიდენტს ვურჩევ, კარგად წაიკითხოს ამერიკელი ჯონ პერკინსის წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება", და გაიგებს, ვინც არის ნოლაიდელი. ამ წიგნის მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი არის ძირითადად ამერიკის კაპიტალით დაარსებული საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც, გლობალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიკურად კლავს სუსტ, განუვითარებელ სახელმწიფოებს. ნოლაიდელი გახლავთ სწორედ ამ სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, რომლის შეთავსებით მუშაობს საქართველოში ხან ფინანსთა და ხანაც პრემიერ-მინისტრად, აქვს მესამე და მთავარი შეთავაზებაც — ქართული ეკონომიკის შინაური მკვლელისა, მას კარგად ესმის, რომ, თუ ქვეყნის ეკონომიკის განადგურება გინდა, უპირველესად უნდა მოკლა მცირე მეწარმეობა, რადგან სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეებზე მოდის მსოფლიო ეკონომიკის 80 და მსოფლიო დასაქმების 90 პროცენტი!

**— ბატონო ანზორ, თქვენ ძალიან დიდ ბრალდებას უყენებთ ზურაბ ნოლაიდელს. გაქვთ კი ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები?**

— რომ არ მქონდეს, რა გამრჯიდა. უამრავიდან მოვიყვან მხოლოდ რამდენიმეს. 1997 წელს, მაგალითად, სავალუტო ფონდის დაკვეთით ნოლაიდელმა მიიღო საგადასახადო კოდექსი, რომელმაც საქართველოში დაიწყო მცირე მეწარმეობის ტოტალური განადგურება. 2003 წლის დასასრულისთვის ქვეყანაში უმუშევრობა 55 პროცენტამდე გაიზარდა!

**— სხვათა შორის, ეს ციფრი ამას წინათ თავად პრეზიდენტმა დაასახელა — როცა ხელისუფლებაში მოვედით, უმუშევრობა შეადგენდა 55 პროცენტს და დღეს იგი 27 პროცენტამდე შევამცირეთო, ესე იგი 28 პროცენტით.**

— როგორც ჩანს, პრეზიდენტს აშკარად შეეშალა, ჩვენთან 28 პროცენტით უმუშევრობა კი არ შემცირდა, პირიქით, ამდენივე პროცენტით გაიზარდა და მან რეალურად 83 პროცენტს მიაღწია. ბოლო სამ წელიწადში ასევე 100 პროცენტით გაიზარდა საქართველოს საგარეო ვალები. ამ ორი პარამეტრით საქართველო ძალიან ჰგავს ჯონ პერკინსის მიერ აღწერილ ეკონომიკური სიკვდილისთვის განწირულ ეკვადორს.

სწორედ საქართველოს „ეკვადორიზაციის" მიზნით ნოლაიდელმა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ შეაჩერა საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების", აგრეთვე, „საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის" სახელმწიფო პროგრამების მოქმედება, მიიღო მცირე მეწარმეობის საბოლოოდ განადგურების ახალი საგადასახადო კოდექსი და სხვა დოკუმენტები, რითაც საქართველო აქცია მსოფლიოში ერთადერთ ქვეყნად, სადაც არ არსებობს მცირე მეწარმეობა — სახელმწიფოს ეკონომიკის ხერხემალი.

**— ჰოდა, ბატონო ანზორ, ქვეყანაში ეკონომიკის დასამარების ეს მცდარი პოლიტიკა რომ შეიცვალოს, პრეზიდენტმა შემოგვთავაზა ახალი პროგრამა, რომელიც 100 ათასი ადამიანის პროფესიულ გადამზადებასა და საწარმოებში დასაქმებას ითვალისწინებს.**

— არ დაიჯეროთ. პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული დასაქმების ახალი პროგრამა არის წინასაარჩევნო პიარი და მორიგი ეკონომიკური ბლეფი. როგორ შეიძლება ხელისუფლებისგან ეს ვირწმუნოთ, როცა ნოლაიდელმა 500 ათასი თვითდასაქმებული არ დაინდო და დაუსაქმებელ, ყოველგვარ სახსარს მოკლებულ ბოგანოდ აქცია. ძირითადად სწორედ ეს ხალხი იდგა ახლახან თბილისში გამართულ 150 ათასიან მიტინგზე. ამ გაწამებულ ხალხს წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები კი არა, პასუხის გაცემა და სამუშაო ადგილები უნდა. პრეზიდენტი იტყუება, როცა ამბობს, რომ 100 ათას კაცს დაასაქმებს და ბიზნესმენებს მოუწოდებს — სასწრაფოდ მომეცით ვაკანსიები, გააფორმეთ უმუშევრები სტაჟიორებად და ხელფასებს მე გადავუხდიო.

კი მაგრამ, დათვალა ვინმემ, რამდენი თვით, თუ წლით უნდა იმუშაონ იმ ადამიანებმა სტაჟიორებად, რა დაუჯდება ეს ბიუჯეტს. საბოლოოდ ეს ხალხი დასჭირდებათ თუ არა საწარმოებს? ალბათ, არა, რადგან ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძველზე გაცილებით დრაკონულია, საწარმოებს არ მისცემს ამის საშუალებას. ჩვენ ხომ ასეთ სულელურ ერთჯერად დასაქმებებში ასეულმილიონობით ლარი უკვე გადავყარეთ? საინტერესოა, კიდევ რამდენი მილიონის გადაყრას აპირებენ?

ანდა, ავიღოთ დასაქმების მეორე პროგრამა — მიწების უფასოდ არენდაში გადაცემა და იქ 100 ახალი გადამმუშავებელი საწარმოს გახსნა. მართალია, პრეზიდენტს ციფრი 100 ძალიან უყვარს, მაგრამ, სიმართლე მაინც უნდა ვუთხრა: როცა დღე-სგან გათავისუფლებულია სოფლის მეურნეობა, ხოლო მისი პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოები კი არა (რაც სავალუტო ფონდისა და პირადად ნოლაიდელის დამსახურებაა) 100 კი არა, 1000 ახალი საწარმოც რომ გახსნა, უკლებლივ ყველა ეს საწარმო მაქსიმუმ 100 დღეში გაკოტრდება!

**— დაბოლოს, რას ურჩევდით პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატებს?**

— მათაც ძველი გზით არ ევლოთ, მცირე მეწარმეობის განვითარება ერთ-ერთ მთავარ ძირითად და პირველი რიგის ამოცანად გაეხადოთ. მინდა ირწმუნონ, რომ თუ ქვეყანაში იქნება მცირე მეწარმეობა, იქნება ხალხის დასაქმება, ეკონომიკური ზრდა, სოციალური კეთილდღეობა, სამხედრო ძლიერება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

**— ერთი გამოგრჩათ, ბატონო ანზორ.**

— რას გულისხმობთ?

**— არ იყოს ტყუილი დაპირებები.**

— მართალი ხართ, ტყუილითა და პიარით აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ინფორმაცია

## ირაკლი ოქრუაშვილისა და დიმიტრი ქიტოშვილის საქმეს სასამართლო განიხილავს

**თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისა და პრეზიდენტის ყოფილი საპარლამენტო მდივნის დიმიტრი ქიტოშვილის სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე არსებით განხილვაში შევიდა.**

**საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შავლიაშვილი იხილავს.**



**თავდაპირველად, საქმე მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილს ეწერა, თუმცა, ფუხაშვილმა თვითაცილება მოითხოვა. როგორც მის მოთხოვნაშია მითითებული, აღმკვეთი ღონისძიების გადაწყვეტილება მან მიიღო და, აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეს ვერ განიხილავდა.**

**პროცესზე დაცვის მხარემ პროცესის გადადების შუამდგომლობა დააყენა. ადვოკატ ეკა ბესელიას შუამდგომლობას ბრალდების მხარე არ დაეთანხმა. როგორც ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, შეტყობინება სასამართლოს შესახებ ირაკლი ოქრუაშვილამდე არ მისულა.**

**პროკურორების ინფორმაციით კი, თითქმის ყველა ხერხი გამოიყენეს, რათა დაკავშირებოდნენ ირაკლი ოქრუაშვილს და შეეტყობინებინათ მისთვის პროცესზე გამოცხადების შესახებ, თუმცა იგი გამოძიებას თავს არიდებს.**

**გარდა ამისა, მოსამართლემ წარმოადგინა ის წერილები, რომლებიც ირაკლი ოქუაშვილს პროცესთან დაკავშირებით გაეგზავნა. მანაც აღნიშნა, რომ ოქრუაშვილი თავს არიდებს გამოძიებას და, აქედან გამომდინარე, საქმის არსებითი განხილვა ირაკლი ოქრუაშვილის გარეშე უნდა დაიწყოს.**

**ოქრუაშვილისგან განსხვავებით, სასამართლო სხდომას ესწრება განსასჯელი დიმიტრი ქიტოშვილიც. ისინი ბრალდებულები არიან ერთ საერთო ეპიზოდში, რომელიც „ჯეოსელის" წილების გამოძალვას ეხება.**

**ამასთან, დღევანდელ სასამართლო სხდომაზე დადგა შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების — გირაოს პატიმრობით შეცვლისა და ძებნის გამოცხადების შესახებ.**

**ინტერპრესნიუსი**

# დღევანდელობა

**საწარმოს შეუფერხებელი მუშაობის მთავარი პირობა მაინც ის არის, რომ ყველა ქვედანაყოფი პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული**



◎ მხარე

# „არქეოპოლისის“ გზასავალი

***გასული საუკუნის 80-იან წლებში მდინარე ტეხურის მარჯვენა სანაპიროზე ინჟინერ-მექანიზატორის დემურ გადელიას თაოსნობით იმ დროისთვის უმსხვილესი საწარმო — საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანება შეიქმნა, რომელსაც 1996 წლიდან „არქეოპოლისი“ ეწოდა. ამჟამად აქ 300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალია დასაქმებული. წლების განმავლობაში მრავალ სიძნელეს გაუძლო უნარიანი თავკაცის ხელმძღვანელობით ერთ მუშტად შეკრულმა კოლექტივმა და დღეს იგი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნილებათა შესაბამისი საწარმოა მოდერნიზებული ორი საასფალტე — საბეტონე ქარხნით (მათ შორის — გერმანული „ტელტომატით“, რომელსაც საათში 60 ტონა მზა მასალის გამოშვება შეუძლიაძ, სამი ქვის სამტვრევი საამქროთი, რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონით, მძლავრი ავტო-სატრანსპორტო პარკით, ჩაის გადამამუშავებელი საწარმოთი. საგულისხმოა ისიც, რომ „არქეოპოლისის“ ხელმძღვანელობამ თავისი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი აფხაზეთიდან დევნილებს დაუთმო თავშესაფრად.***



ბატონი დემურ გადელია დღენიადაგ ზრუნავს საწარმოს მოდერნიზაციისა და ავტოტექნიკით გამდიდრებისთვის. მარტო წლეულს მილიონი ევროს ღირებულების გერმანული მანქანა შეიძინა. კერძოდ, სპეციალიზებული საგზაო ფრეზი, საასფალტე-საბეტონე ნარევის დამფენი, რომელსაც საათში 500 ტონა ნარევის გაშლა და დაგება შეუძლია, ასევე, ორი 16-ტონიანი სატკეპნი მექანიზმი და ექსკავატორი.

— ჩვენთან ტექნიკის ექსპლუატაცია უმთავრესად კომპიუტერული სისტემით ხორციელდება, — გვიხსნის საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **იზარდი წოწონავა**. — რის გამოც ყველა ტექნოლოგიური პროცესი უნაკლოდ და სწრაფად სრულდება. საწარმოს შეუფერხებელი მუშაობის მთავარი პირობა მაინც ის არის, რომ ყველა ქვედანაყოფი პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. თითოეული მუშაკის ყოველთვიური გამომუშავება 300-დან 1000 ლარს აღწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ „არქეოპოლისი“ ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია და ქვეყნის ბიუჯეტში ყოველწლიურად სოლიდური თანხა შეაქვს. ბატონ დემურ გადელიას გულისხმიერების მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ საწარმოების მოგებიდან უანგაროდ ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს — ინვალიდებს, ვეტერანებს, პედაგოგებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, შემოქმედ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, გარდაცვლილთა ოჯახებს. ბატონმა დემურმა საკუთარი სახსრებით აღადგინა სენაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის დემურ გადელიას ამჟამინდელი საზრუნავი საავტომობილო გზების, ხიდების, მდინარეების ნაპირ-სამაგრი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაციაა. საგულისხმოა, რომ „არქეოპოლისმა“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ 40 ტენდერში გაიმარჯვა. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის, სენაკი-ხობის, სენაკი-სამტრედიის, სენაკი-ნოქალაქევი-ბანძის გზის მონაკვეთებს, ხოლო სენაკი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-ზუგდიდის 90-კილომეტრიანი გზის მშენებლობაზე 46 კილომეტრი „არქეოპოლისმა“ შეაკეთა, რომელმაც მკაცრ გამოცდას გაუძლო. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 23 ნოემბერს ამ გზაზე ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით ავტორალი მოეწყო.

საგულისხმოა ისიც, რომ წლეულს ვადამდე დამთავრდა სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 30-კილომეტრიანი, დარჩელი-განმუხურის 14-კილომეტრიანი, ზუგდიდი-რუხის 10-კილომეტრიანი გზის მონაკვეთები; ბოლო სამ წელიწადში აიგო ხიდები მდინარე ცივზე, კაპარჭინაზე, რიონზე...

საწარმოს წარმატებებში უდიდესი წვლილი, ცხადია, „არქეოპოლისის“ თავკაცს ბატონ დემურ გადელიას მიუძღვის, რომელსაც ყოველდღიურ თავდადებულ გარჯაში გვერდით უდგანან საწარმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი სოსო გადელია, დირექტორი დავით გვარამია, სამუშაოთა მწარმოებლები — ვახტანგ ხუხია, ომახ ყურაშვილი, ლოვარ ლაშქარავა, ნუგზარ ჩვამანია, მექანიკოსი ელვარდ გვარამია, გზათამშენებელი იაშა სიგუა და სხვები. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ დემურს გვერდით უდგას ვაჟიშვილი დავითი, პროფესიით ეკონომისტ-ფინანსისტი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ აღნიშნული სპეციალობით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაიღრმავა ცოდნა.

**ოჯახივით ერთ მუშტად არის შეკრული „არქეოპოლისის“ შრომისმოყვარე კოლექტივი, რომელიც ახალ-ახალი გამარჯვებების მისაღწევად არის შემართული და მჯერა, რომ მისი გზასავალი წარმატებული იქნება.**

**იოსებ გოზეჩია**

„სრ“ საკ.კორ.





◎ ინფორმაცია

## რომელი კომპანია გაიმარჯვებს?

საქართველოს რეგიონების ბუნებრივი გაზის სადისტრიბუციო კომპანიების პრივატიზებასთან დაკავშირებით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის პროცესი დასრულდა.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან იტყობინებიან, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა და ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რეგიონების ბუნებრივი გაზის სადისტრიბუციო კომპანიების პრივატიზებაზე ინტერესი სამმა კომპანიამ „ვისოლმა“, „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ და „ივერი 7“-მა გამოთქვა.

აღნიშნული კომპანიების მიერ წარდგენილი წინადადებები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიხსნა.

პირობების თანახმად, გამარჯვებული კომპანია ვალდებულია, პრივატიზებული ქონების ღირებულება განსაზღვრულ ვადაში დაფაროს, მომხმარებელს ბუნებრივი გაზი უწყვეტად მიაწოდოს, შეინარჩუნოს პრივატიზაციის მომენტისთვის არსებული აბონენტების რაოდენობა და განახორციელოს ახალი მომხმარებლის გაზიფიცირება.

## იყიდება აფხაზეთი — ვის ჯიბეში მიდის ფული?

აფხაზეთში 2001 წლიდან 1500-მდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტი გაიყიდა. ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა სააგენტო “აფსნი პრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— 2001 წელს — 1054, 2002 წელს — 41, 2003 წელს — 251, 2004 წელს — 27, 2005 წელს 20, 2006 წელს კი 82 ობიექტი გაიყიდა. ამასთან, 2005 წელს ხელისუფლების შეცვლამდე არავინ იცოდა, სად მიდიოდა პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, — აღნიშნა სერგეი ბაღაფშმა.

მისი შეფასებით, პრივატიზაციის ფონდის საქმიანობა, რომელიც თანხების აკუმულირებას ქონების განსახელმწიფოებრიობით ახდენს, „სრულიად ეფექტურია“.

ბაღაფში აღნიშნავს, რომ ფონდის მიერ აკუმულირებული თანხებით სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, გზებისა და ავტოტრასების, მათ შორის ოჩამჩირე-ტყვარჩელის გზის აღდგენა მიმდინარეობს.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადებით, „აფხაზეთის ხელისუფლება ცდილობს, პრივატიზაციის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს“.

ბაღაფში ოპოზიციის ბრალდებას, რომ ხელისუფლება უცხოელ ინვესტორებს სახელმწიფო საკუთრების ფართომასშტაბიანი პრივატიზების საშუალებას აძლევს, კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას მთავრობა და პარლამენტი ამტკიცებს და ამით პროცესის გამჭვირვალობა მიიღწევა“.

## მართლა ვერ ელეოდნენ ბოლო ეშელონს?

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ეშელონის გასვლის უმიზეზოდ შეფერხებაში ადანაშაულებს.

რუსეთის თავდაცვის სამინიტროს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, „საქართველოს ხელისუფლება სომხეთში მიმავალ ბოლო რუსულ სამხედრო ეშელონს ხუთი საათის განმავლობაში არ უშვებდა“.

— სადახლოს საბაჟო პუნქტზე პირადი შემადგენლობისა და ტვირთის საბაჟო შემოწმების მიუხედავად, ოფიციალური თანამდებობის პირები ყოველგვარი მოტივის გარეშე ეშელონს სომხეთში შესვლის საშუალებას ხუთი საათის განმავლობაში არ აძლევდნენ, — აცხადებს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.

ინტერპრესნიუსი

# რა დღეში ვართ

● მინდა გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატორი ყველაფერს ილებდა. ის დანგრევა მან გადაიღო



◉ საგანგებო ინტერვიუ

# ტელეკომპანია „იმედს“ სახელმწიფომ მილიონობით ზარალი უნდა აუნაზღაუროს!

(მეხუთე გვერდიდან)

აქაც შემოვიდნენო... ამიტომ საბაბი არ არსებობდა?

სამება რომ გაახსენდათ, თავიდან ქაშუეთში არ შეაგდეს ხელყუმბარა ცრემლსადენი გაზით, იქ იატაკზე სისხლი არ იყო? თუ ჩვენ დავასხით ის სისხლი და მღვდლის ფორმაში გადაცმული ჩვენი ჟურნალისტი ლაპარაკობდა?

სამების ტაძართან მყოფმა ჟურნალისტმა აღნიშნა, – ვრცელდება ხმები სპეცრაზმის შესაძლო თავდასხმის შესახებ და ვცდილობთ ამის გადამოწმებასო. სად არის აქ პირდაპირი ნათქვამი, რომ სპეცრაზმი მოემართება და სამებას შეანგრევენ? საკუთარი სურვილისამებრ ნებისმიერი რაღაცის ინტერპრეტაცია რომ შეიძლება, ამ ფაქტითაც ცხადია.

**– პარლამენტის თავმჯდომარე „იმედის“ ჟურნალისტებს შეხვდა. თქვენც იმყოფებოდით ამ შეხვედრაზე?**

– არა, ქალბატონი ნინო მხოლოდ ათ ჩვენს ჟურნალისტს შეხვდა, ინგა გრიგოლიას კი ცალკე ესაუბრა.

თუ გაინტერესებთ, როდის ჩაირთვება „იმედი“, ან, საერთოდ, ჩაირთვება თუ არა, – ამაზე ხელისუფლებას კონკრეტული პასუხი არა აქვს. სხვა მხრივ, როგორც ამბობენ, შეხვედრა გულწრფელობით გამოირჩეოდა და სინანული გამოთქვა იმ მეთოდების გამოც, რითაც ჩვენ დაგვარბიეს... ისიც ითქვა, ვინმეს დაერეკა ტელეფონით და გავეფრთხილებინეთ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზეო, ან ეს საგანგებო მდგომარეობა ცოტა ადრე გამოცხადებულიყოო, ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ და ნებისმიერ გადაწყვეტილებას დავემორჩილებოდით. სხვა თემაა, მოგვეწონებოდა თუ არა, ჩვენ შევასრულებდით ყველანაირ ბრძანებას, თუკი ის ოფიციალური, ნორმალური ფორმით იქნებოდა მოწოდებული. როდის ყოფილა, ვინმეს რამე ეთქვა და ჩვენ ბარიკადები აღგვემართა.

**– ხომ არ გგონიათ, დაყადაღება და ტელემაუწყებლობის მიულებელი ფორმით შეჩერება იმიტომ აირჩიეს, რომ „იმედი“ საერთოდ გაეთიშათ?**

– ალბათ, ასე იყო. მათ არ სჭირდებათ ჩვენი ჩართვა – არც არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ.

**– თქვენ საერთაშორისო საზოგადოებრიობა მხარს გიჭერთ...**

– ინტერნეტი რომ ჩართოთ, ამაში მაშინვე დარწმუნდებით, აღარაფერს ვამბობ აქ ჩამოსულ ადამიანებზე, რომელთაც ყოველდღიურად ვხვდები. 7 ნოემბრიდან მოყოლებული დღეში 18-19 შეხვედრას ვესწრები. პოზიცია აბსოლუტურად გარკვეულია – არხი უნდა აღდგეს და „იმედი“ ეთერში გავიდეს. ერთი მხრივ, არის მსოფლიოს გარკვეული აზრი, მეორე მხრივ კი – ქაღალდი, სადაც სისულელეები წერია... და მესამე – აბსოლუტურად არაკონსტრუქციული პოზიცია.

**– თქვენი უცხოელი მესაკუთრე და დირექტორი რას ამბობენ?**

– ამბობენ, რომ არსებობს საზოგადოებრივი აზრი, მსოფლიოს ყველა ორგანიზაციის მხარდაჭერა, რომლებიც პირდაპირ აცხადებენ, რომ შეიძლება ეს არჩევნები საერთოდ არალეგიტიმურად ცნონ, თუ პრესის თავისუფლება, „იმედის“ მაგალითზე შეზღუდული იქნება.

კიდევ ვიმეორებ, ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ, ადვოკატებს მივმართეთ, სასამართლოში ამ საქმეს მსვლელობას მივცემთ და დაველოდებით, მეტი არაფერი დაგვრჩენია. ის ხალხი არ ვართ, რომელიც გამოვა და ქუჩაში აქციებს მოაწყობს, დროშის ქნევას და კივილს დაიწყებს, არსებობს სიმართლის პოვნის ცივილიზებული ფორმები. თუ ეს არ მოხერხდება საქართველოში, მოხერხდება საერთაშორისო სასამართლოებში.

**– ცნობილია, რომ გიორგი თარგამაძე ლონდონში იმყოფებოდა. რა შედეგს მოიტანს „ნიუსკორპის“ სათავო ოფისში მისი ვიზიტი?**

– იყო ლონდონში, დაბრუნდა იქიდან, ახლა ვაშინგტონში იმყოფება. იგი ლონდონში შეხვდა „ნიუსკორპის“ წარმომადგენლებს. ვის შეხვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამაზე ჯერ არ მისაუბრია, იქაური შეხვედრების შედეგები არ ვიცი.

კიდევ ვიმეორებ, არ არის აუცილებელი ლონდონში და ვაშინგტონში წასვლა, აქ იმყოფება მეთიუ ბრაიზა და იგივეს ლაპარაკობს, რასაც ვაშინგტონი, ინგლისი თუ „ნიუსკორპი“... აქ ორი აზრი არ არის. ერთი ვინმეც კი არ ყოფილა, მოსულიყო და ეთქვას, თქვენ არ უნდა აღდგეთო.

**– ხელისუფლების პოზიცია ასეთია – „იმედს“ მაუწყებლობის განახლების უფლება მანამდე არ აქვს, ვიდრე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წინასწარ გამოძიება არ დასრულდებაო.**

– ესეც ბოდვაა... არსებობს კანონები, მაგრამ თუ სპეციალურად დაიწერება კანონები „იმედის“ წინააღმდეგ, ეს მეორე საკითხია, არა მგონია, რომ აბსურდის თეატრთან გვქონდეს საქმე. არსებობს სხვადასხვა პრევენციული ზომა, ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელიც იძლევა საშუალებას, განცალკევდეს ტელეკომპანია „იმედისა“ და ბატონი ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმეები, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდება.

**– შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით ტელეკომპანია „იმედში“ გადაღებული ლამაზი კადრები უჩვენა. იქ მართლა არაფერი მომხდარა თუ როგორც ხმა გავრცელდა, ტექნიკის 90 პროცენტი განადგურებულია?**

– ნამდვილად განადგურებულია. პირველმა არხმა ორიოდ დღის წინათ ჩვენი გადაღებული ფოტოებიც აჩვენა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ჰქონდა. მინდა გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატორი ყველაფერს ილებდა. ის დანგრევა მან გადაიღო. მათ სინდისზე იყოს, მერე დაალაგეს იქაურობა. სხვათაშორის, ეს ქმედება კანონით ისჯება, ამას კრიმინალისტურ ენაზე კვალის დაფარვა ჰქვია. პროკურატურამ ეს უნდა გამოიძიოს, ჩვენი ლიცენზიის შეჩერებით კი არ უნდა იყოს დაკავებული. მან უნდა გამოიძიოს, რომ ჩვენი ტელეკომპანია დარბევის შემდეგ გაიწმინდა და ვინც ეს ჩაიდინა, იმან კანონი დაარღვია, შესაბამისად უნდა დაისაჯოს. მაგრამ ვის მოვთხოვოთ პასუხი, თვითონ დაალაგეს და?

**– არქივიც განადგურებულია?**

– ნაწილობრივ. სანამ შიგნით არ შემიშვებენ, როგორ გითხრათ, რომელი კასეტაა გადარჩენილი?

**– რომელიმე ოთახი მაინც თუ გადაურჩა დარბევას?**

– ოთახი არც ერთი არ გადარჩენილა. მესამე სართული გადარჩა, სადაც მხოლოდ საოფისე ტექნიკაა. იქ ჩვენი კაბინეტებია. არ ვიცი, ან იქ რა ხდება? დალუქულიაო, ამბობენ. ჩემს თვალწინ დალუქეს, მაგრამ ის ლუქი შემდეგ სურვილისამებრ ახსნეს და მთელი შენობა დაალაგეს.

**– თქვენ საჩივარი საქალაქო სასამართლოში უკვე შეიტანეთ? რას ითხოვთ?**

– ამ ეტაპზე ვაპროტესტებთ საქალაქო სასამართლოს უნიჭო გადაწყვეტილებას. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა – მაუწყებლობის უფლება აღგვიდგინონ. თავისთავად იგულისხმება ზარალის ანაზღაურება – ზარალის აღნუსხვა, მილიონებზეა ლაპარაკი. ჩვენმა სახელმწიფომ ეს ზარალი უნდა აგვინაზღაუროს. ისინი შემთხვევით ქუჩიდან შემოვარდნილი ხალხი არ ყოფილა.

**– არ არის გამორიცხული, რომ სასამართლო განგებ გაჭიანურდეს...**

– წინასწარ ვერ გეტყვით, გაჭიანურდება თუ არა...

**– ანუ იმედი გაქვთ?**

– „იმედის“ გენერალურ დირექტორს არ შეიძლება იმედი არ ჰქონდეს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

◉ ინფორმაცია

## ტელეკომპანია „იმედის“ ადვოკატმა პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა

ტელეკომპანია „იმედის“ ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა გენერალურ პროკურატურას ტელეკომპანიაში 7 ნოემბერს განხორციელებული სპეცოპერაციის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა.

როგორც ბარათაშვილმა “ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, გენერალურ პროკურატურაში შეტანილ განცახდებაში დეტალურად არის აღწერილი 7 ნოემბერს სპეცრაზმის შესვლისა და ტელეკომპანიაში ჩადენილი დანაშაულების ფაქტები.

მისივე განმარტებით, პროკურატურა ვალდებული იყო, აღნიშნულ ფაქტზე გამოძება 7 ნოემბერსვე დაეწყო, თუმცა, რადგან ეს არ მოხდა, აღნიშნული მოთხოვნა თავად ტელეკომპანიამ დააყენა.

ადვოკატის ინფორმაციით, დღესვე საქალაქო სასამართლოში საჩივარიც შეიტანა, რომლითაც ტელეკომპანია კუთვნილი ქონებასა და ლიცენზიაზე დადებული ყადაღის გაუქმებას მოითხოვს.

როგორც სოსო ბარათაშვილმა განმარტა, საქალაქო სასამართლო აღნიშნულ საჩივარს სააპელაციო სასამართლოს გადაუგზავნის, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, საჩივარი 72 საათის განმავლობაში განიხილოს.

## „იმედის“ მეპატრონე მერდოკი ჯორჯ ბუშის და კონდოლიზა რაისის იმედზე რჩება

ტელერადიოკომპანია „იმედის“ თანამფლობელი, ტრანსნაციონალური მედია-ჰოლდინგის პრეზიდენტი რუპერტ მერდოკი აშშ-ის პრეზიდენტს ჯირჯ ბუშსა და სახელმწიფო მდივანს, კონდოლიზა რაისს საქართველოს ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენას სთხოვს, რათა ეს უკანასკნელი „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენას დათანხმდეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ტელერადიოკომპანიის გენერალური დირექტორი ლუის რობერტსონი აცხადებს.

„აღნიშნულ საკითხზე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკვე მიმართა აშშ-ის საელჩოს საქართველოში. საქართველოს მთავრობაზე ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები სერიოზულ ზემოქმედებას ახორციელებენ, რათა „იმედის“ მიმართ შემოღებული სანქციები შეწყდეს. ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მოქმედება „იმედის“ მიმართ ემოციურ ხასიათს ატარებდა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სათანადო სასამართლო პროცედურები თვეობით გაიწელოს, რაც ტელეკომპანიის მაუწყებლობას შეაფერხებს“, – აცხადებს „იმედის“ გენერალური დირექტორი ლუის რობერტსონი.

„ქართველი სამართალდამცავების მიერ შედგენილი დოკუმენტი იურისპრუდენციის ელემენტარული ნორმების არცოდნაზე მიუთითებს. ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს მისი გაპროტესტება და ნებისმიერ სასამართლოში საქმის მოგება. თუმცა ტელეკომპანია შეეცდება შეაფერხოს მის დახურვასთან დაკავშირებული შესაძლო საპროტესტო გამოსვლები, რათა ხელისუფლებას რეპრესიების ახალი ტალღის მიზეზი არ მიეცეს“, – აცხადებს „იმედის“ დირექტორი ბიძინა ბარათაშვილი.

შეგახსენებთ, ზემოაღნიშნულის ფონზე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა საქართველოს ხელისუფლებას დამოუკიდებელი მედია-საშუალებების მუშაობის უზრუნველყოფისკენ მოუწოდა. მაკკორმაკმა აღნიშნა, რომ იმ პირობებში როდესაც საქართველო არჩევნებისათვის ემზადება აუცილებელია არსებობდეს ისეთი ატმოსფერო, როდესაც კანდიდატები შეძლებენ წარადგინონ საკუთარი თავი და მათთვის ხელმისაწვდომი იქნება დამოუკიდებელი მედია.

ჯი-ეიჩ-ენი

## „მე ვარ ჟურნალისტი, რომელსაც თავს გადახდა ძალადობა და ძალმომრეობა“

„ნიუსკორპორეიშენის“ მიწვევით გუშინ ტელეკომპანია “იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების დირექტორი გიორგი თარგამაძე აშშ-ში ჩავიდა, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს შეხვდა.

როგორც გიორგი თარგამაძემ განაცხადა, იგი აშშ-ში საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ სასაუბროდ ჩავიდა. „ჩემი აქ ყოფნის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ქვეყნიდან ინფორმაციის გატანა იმის შესახებ, რაც მოხდა 7 ნოემბერს, რაც მოხდა მანამდე და მას შემდეგ ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით“, – განაცხადა თარგამაძემ.

მისი თქმით, აშშ-ში მისი ვიზიტის ორგანიზატორია „ნიუსკორპორეიშენი“, ორგანიზაცია, რომლის წევრი სტრუქტურაცაა ტელე-რადიოკორპორაცია „იმედი“.

იგი ჟურნალისტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაშია მიწვეული. თარგამაძის თქმით, ეს არის სწორედ ის ორგანიზაცია, რომელმაც „მკაცრი შეფასება გამოაქვეყნა ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ და საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, დროულად გამოასწოროს მათ მიერ დაშვებული შეცდომები“.

მისივე თქმით, მას საშუალება ჰქონდა ტელე-რადიოკორპორაცია „იმედის“ შესახებ ბრიტანეთში რამდენიმე მსხვილი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ესაუბრა. „საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციები უზარმაზარ ინტერესს იჩენენ. აქ არიან მთელი რიგი საექსპერტო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აკვირდებიან. მათთვის საინტერესოა ის ინფორმაცია, რომლის თვითმხილველიც ვარ, რადგან მე არა უბრალოდ დამკვირვებელი, არამედ ვარ ჟურნალისტი, რომელსაც თავს გადახდა ძალადობა და ძალმომრეობა“, – აღნიშნა თარგამაძემ.

ინტერპრესნიუსი

ერთი სიტყვით, თბილისმა თავისი წამებული მხარის გამოხსნის სამსაუკუნოვანი იუბილე ვერ აღნიშნა. მიფუჩეჩდა, მიჩურჩულ-მოჩურჩულდა, ამხელა ეროვნული ამბავი მიკუდიძირ-მოკუდისძირდა. იგი ვიწრო კუთხურ აჩემება-დაჟინებად ჩაგვითვალეს



## გულწრფელი წიგნი

# ფრიდონ ხალვაში

# ომარი

## დოკუმენტური მოთხრობა



კალისტრატემ, როგორც ავტოთი დავიძარით, „ბედი ქართლისა" ჟურნალზე ჩამოაგდო საუბარი. შემომჩივლა, მე და ქალბატონი ნინო მარტონი ვაკეთებთ ყველაფერსო. მთელი მსოფლიოს ქართველოლოგები ჩვენთან თანამშრომლობენ. აი, ამას წინათ, დავით ლანგმა, ბრიტანელმა, საოცარი და უსაჭიროესი მასალა მოგვაწოდა ქართული ენისა და ქართული შემოქმედების ნიუანსები თავისეული ხედვით გაბრწყინებული. რამდენს ვთხოვ თბილისში მეცნიერებს, მწერლებს, — მომაწოდეთ-მეთქი წერილები, ახალი გამოკვლევები, ითანამშრომელთ-მეთქი. არაფერი! პასუხიც ვერ მივიღე.

თითო ეგზემპლარს ჟურნალისას ყველა სამეცნიერო ცენტრს ვუგზავნი ევროპაში. ჩვენებსაც, რა თქმა უნდა.

შაიოს სასახლესთან შევჩერდით. სასახლე ორად გაყოფილია. ერთი ცალკე დგას, იმის გვერდით, მოშორებულზე, ზუსტად ისეთივე — მეორე. ეს იმიტომო, ამიხსნა ბატონმა კალისტრატემ, ეიფელის კოშკს რომ არ აფარებოდა. სწორედ იქიდან მართლაც სივრცეზე გაბატონებული ჩანს ცად ატყორცნილი ლითონის სიმღერა, — ეიფელი, ის სულ სხვანაირია ღამით. ფერადი ლამპიონები მართლაც გეგონება ცასა და მიწას ელაპარაკებიან, იქვე, შაიოს გვერდით, მოზრდილი ცარიელი მოედანი დამანახვა. მითხრა — აი, აქ, 1936-ში, მსოფლიო გამოფენა გაიმართა, სადაც სტალინის საბჭოთა კავშირისა და ჰიტლერის გერმანიის საგამოფენო პავილიონები გვერდიგვერდ იდგა. მათი გადახურვა გაჭიანურდა. მახსოვს, ყოველდღე გამოვდიოდით აქ, რათა გვენახა რანაირი სიმბოლიკა დაიდგმებოდა ერთის ან მეორის სახურავად. მაგრამ, ალბათ, უცდიდნენ ერთიმეორეს, რომელი რას დადგამდა, ენახა, რომ მერე უფრო ზარდამცემი სიმაღლით ეპასუხნა.

ბოლოს, საბჭოთაკავშირელებმა ვეღარ მოითმინეს და ერთ დილას ვნახეთ იმათ პავილიონზე მუხინას ნამგალ-ჩაქუჩიანი გლეხი ქალისა და მუშის ვეება ფიგურა გადმომდგარა. იმ საღამოსვე თავისი ნაგებობის სახურავზე გერმანელებმა საბჭოელებზე მაღალი სვასტიკა დააყენეს.

ღამის ორი იქნებოდა, კაფე „როტონდაში" რომ შევედით. ბატონმა კალისტრატემ იმ მაგიდასთან დამსვა ცოტა ხნით, სადაც ჰემინგუეის უყვარდა პარიზში ყოფნისას დაჯდომა. იქვე, მეორე მაგიდა პიკასოსი იყოო, მითხრა. აქ ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილი მოდიოდა თავისი პირველი ნახატებით.

აქ მთელი მსოფლიო ხელოვნების ახლის მაძიებელი გენიოსები ერთმანეთის ნახვა-სიახლოვით უფრო იახლებდნენ და ინათებდნენ ახალი ეპოქის დამწყებ თავიანთ მიგნებებსო.

უცებ მიმატოვა. მგონი, კუთხეში ტელეფონთან მივიდა. როცა მობრუნდა, აღარ დამჯდარა, მითხრა, ნინო ისეა, უნდა მივეშველოო. ძალიან მინდოდა ეს ღამე ერთად გაგვეთენებინა და დილით ჩვენთანაც მოგვესწრო მისვლაო, — მითხრა დაღონებულმა კალისტრატემ. იგი უკიდურესად დაძაბული და შეშფოთებული ჩქარობდა. ნამდვილი შუაღამე იყო. მე ჩემს სასტუმროსთან მიმიყვანა, გადამეხვია და თვალს მიეფარა.

* * *

იმ ჩემს ფრანგულ დღეებზე დაბრუნებისთანავე დავწერე მაშინდელობასთან შესატყვისებული მოზრდილი შთაბეჭდილებათა წერილი. იგი „ჭოროხში" დაიბეჭდა.

ერთ ალაგას წერილში მოვიგონე სალიას ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ მოხიბლა-დაატყვევა მაშინდელი პარიზი სუხიშვილის ანსამბლის პირველმა გამოსვლებმა. მეწადა გრიგოლ რობაქიძის ცნობილი ლამაზი ფრაზა როგორმე ისე წარმოეჩინა, რომ თავად რობაქიძე არ მესხენებინა. ჰოდა, წერილში ასეა, — ბატონმა კალისტრატე სალიამ მითხრა, — სუხიშვილების ცეკვებით მოხიბლულმა ერთმა დასავლეთელმა დიდმა მწერალმა, ქართულ ცეკვებთან დაკავშირებით, პრესას განუცხადა, — ეს არის ხალხის გენია, როკვით განფენილიო.

იმ დღეებში, მახსოვს, ერთმა ბათუმელმა თანამოკალმემ მკითხა, ვინაა ის „ცნობილი მწერალი" ასე გადასარევი რამე რომ უთქვამსო. კოლეგას ხომ არ დავუმალავდი. ვუთხარი ვინაა, და გრიგოლია რობაქიძე-მეთქი.

აქ წვრილმანებს აღარ გამოვეკიდები. პირდაპირ ხოშორზე (მთავარზე) გეტყვი. ცეკას ახალმა პირველმა მდივანმა იდეოლოგიური თათბირი მოიწვია. ეს პირველი დიდი შეკრება იყო ახალი „მასშტაბური" საქმიანობის დასაწყისისთვის.

გაიჭედა მთავრობის სახლის დარბაზი. მეც იქ, დარბაზის შუაგულში, „ჭოროხის" მაშინდელ რედაქტორ აკაკი შონიასთან ერთად ვიჯექი. წყნარად, მშვიდად, მყუდროდ, ერთგვარად ბედნიერადაც ვგრძნობდი თავს, იმიტომ რომ არაფერი ისეთი საჯახირო-საკიჟმაჟო, არც გამოსვლა, არც სხვა ამნაირი იმ დღეს არ მევალებოდა. უამრავ ნაცნობს ვხედავდი. თითის, ხელის ან წარბის აქნევით მესალმებოდნენ. მეც, თავის დაკვრით ვესიყვარულებოდი.

ბუზუნებდა, ზუზუნებდა, გრიალებდა და უფრო-უფრო ივსებოდა, იჭედებოდა დარბაზი.

ბოლოს დაიწყო. დასტა ქაღალდებით ხელში, მკვირცხლად, შინსახკომური ნაბიჯით (ახალნამინისტრალი იყო) თეთრი ქოჩრით და შავი შარვალკოსტუმით, გრძელი ნაბიჯებით, მოკლე მანძილი პირველმა გადაზომა და ტრიბუნასთან, მაგიდას მიუჯდა. მაგიდასთან, სწრაფად აქეთ-იქიდან მიუსხდნენ სხვებიც. დაიწყო მოხსენება. ქართულად, — ერთი ფრაზით, — ყველასთვის რომ გასაგები იყოსო, რუსულზე გადავიდა.

საკმაოდ სქელი დასტა ედო წინ. მაგრამ ხალხი ყურადღებით უსმენდა.

წარმატებულზე, ფილმებზე, ვარგებულ წიგნებზე, დროსთან იდეურად მორგებულ სპექტაკლებზე, მაღალმხატვრულ ქართულ ფილმებზე, ხელოვნების სხვა ღირებულ ნიმუშებზე ლაპარაკი რომ მოთავდა, ტრიბუნაზე ახალშედგმულ ფინჯნიდან, როგორც კი ცხელი ჩაი მიიდო ტუჩზე, ორივე ძალიან ფართოდ გაღებული თვალი დარბაზს მოავლო.

მომეჩვენა, რომ იმხელა დარბაზში, ასობით მსხდომთა შორის, მაინცდამაინც წამით ჩემზე შეაყენა მზერა, რამაც ჟრუანტელით ძარღვები შემიჩონჩვილა.

არა, ეს, ალბათ, მომეჩვენა, ჩემზე შესაჩერებელი მაგის თვალებს არაფერი ჰქონდათ.

მაგრამო, — გააგრძელა მომხსენებელმა დამძიმებულად, — ჩვენს მუშაობაში მაინც აქა-იქ შეინიშნება ნაკლოვანებანიც (ნედოსტატკი), შეცდომები და ჩვენი პარტიის იდეური მიმართულებიდან ცალკეული გადახვევებიცო.

და, უცებ, რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! (ამდენი ხანი გადის და ის სიტყვები ხან შებრუნებული, ხან შემობრუნებული ისევ მიმეორდება). — და, აი, ამ საყოველთაო იდეოლოგიური აღმავლობის დროს, ფრიდონ ხალვაშმა (კი, კი, კრიტიკული განყოფილება მოხსენებისა ჩემით დაიწყო, ეტყობა, მაგარი დანაშაული ჩამიდენია. გამიმეტებს?..) კომუნისტური პარტიის წევრმა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა (ეს ყველაფერი რუსულად როგორ გაიქუხებდა! მერე სადაური უმაღლესი საბჭოსი და სადაური მწერალთა კავშირისა ვარ, განგებ არ თქმულა, რათა უფრო დიდი, მთელი ქვეყნის მასშტაბის დამნაშავე გამოვსულიყავი), ლექსი უძღვნა ფაშისტ გრიგოლ რობაქიძეს! (პოსვიატილ სტიხოტვორენიე ფაშისტუ გრიგოლუ რობაკიძზე!).

საკვირველი ის იყო, რომ უცებ, ერთობ, თითქოს მე ავმაღლდი, გავიზარდე, სახელმოხვეჭილად ვიქეცი, ისეთ პიროვნებად ვიქეცი, ყველა, აშკარად თუ დაფარულად, ჩემკენ იცქირებოდა. ბევრს ვებრალებოდი, ბევრი იქნებ ჯავრსაც იყრიდა, ბევრს ეს კიდეც შეშურდებოდა. ჩემს თავზე მეტად შორია შემებრალა. ვუფიქრე, — კაკო, შენ არ გეხება ეს, ამაზე მე ვაგებ პასუხს. მე გავარკვევ ყველაფერს. შენს რედაქტორობას ვერავინ შეეხება. ამ დროს, შუა მოხსენებისას, შესვენება ცხადდება. დერეფნით „იმ" ოთახისკენ გავემართე, სადაც ედუარდი მოსკოველ სტუმრებთან ერთადაა. ბევრი თანამგრძნობი, მოწყალე თვალი შემომცქერის. არ იყო მოხსენების ტექსტში ასეთი რამეო, მერე ჩაუწერიაო, — მითხრეს. ვიღაც მელოზება, მირჩევს არ ვნახო, არ ვუთხრა არაფერი, თორემ ეგება ეს უარესი გამოდგეს. მე უკვე მივადექი შესასვლელს. ამ დროს კარებში შემეჩეხა მაშინდელი მინსაბჭოს თავმჯდომარე, რომელიც სხვა დროს, ყოველთვის სალმით მხვდებოდა. ახლა თითქოს ვერც შემამჩნია, მე, „ფაშისტის მეხოტბე". მაინც შევალე. უნდა ვეჩვენო პირველს, უნდა ვუთხრა... აი, დამინახა. თავისი მომთიბველი თვალები მომავლო, შესახვედრად ჩემკენ გამოემართა.

— როგორა ხარ, ამხანაგო ფრიდონ?..

— როგორ ვიქნები, ედუარდ ამბროსოვიჩ, თქვენი განცხადების შემდეგ აქედან უნდა გავრბოდე, თუ გამიშვებენ კარებში (თვალი მომარიდა, სხვაგან გაიხედა).

— არა უშავს. ცოტა კრიტიკაც საჭიროა. უნდა ავიტანოთ.

— ედუარდ ამბროსოვიჩ, ლენინი ხომ ამბობს, კარგი მტრისგანაც უნდა ისწავლოთო... კარგი თქვა იმ კაცმა ჩვენს ხელოვნებაზე...

— კარგად იყავი, — მიმატოვა. მართლაც კარგად უნდა ვიყო.

## პრემია, დაყვედრებული?

როცა 1978 ახლოვდებოდა, ჩვენ, აჭარაში, ვფაციფუცობდით, — დედა-საქართველოსთან ჩვენი მხარის დაბრუნების 100 წლისთავი გვეგონა, საკავშირო დონეზე აღინიშნებოდა. მაგრამ საქმეს თავიდანვე შეეტყო, — მოსკოვი თბილისს ეუბნებოდა, ადგილობრივებმა ჩაატარონ უხმაუროდო (ალბათ, თურქეთს რომ არ სწყენოდა). ამ დროს ჩვენი „სოცბანაკელი თანამოძმე", ბულგარეთი, საყოველთაოდ აგრიალებდა ისეთივე ზეიმს, — ოსმალთა ბატონობისგან თავის განთავისუფლების თარიღს.

ბათუმის გამომცემლობაში, იმ ხანობაზე, პატარა პოეტური კრებული დავბეჭდე, რომელსაც სახელად ჩემივე ერთი ლექსის სათაური დავაწერე, — „ასი მზე დედის გულისა".

ერთი სიტყვით, თბილისმა თავისი წამებული მხარის გამოხსნის სამსაუკუნოვანი იუბილე ვერ აღნიშნა. მიფუჩეჩდა, მიჩურჩულ-მოჩურჩულდა, ამხელა ეროვნული ამბავი მიკუდიძირ-მოკუდისძირდა. იგი ვიწრო კუთხურ აჩემება-დაჟინებად ჩაგვითვალეს.

ჩემი კრებული „ასი მზე დედის გულისა", რამდენიმე ცალი, ჩვეულებრივად, წავიმძღვარე თბილისისკენ. მეგობრებს ჩამოვურიგებ-მეთქი.

იმ დღეს მაჩაბელზე უნდა მივსულიყავი. გავუყევი ფეხით რუსთაველს. „მერანში" შევიხედე. იქ, პირველივე კარებში კონსტანტინე ლორთქიფანიძე შემომხვდა.

ჰოდა, პირველივე ეგზემპლარი ჩემი კრებულისა, მოკრძალებული პატივით მივართვი ბატონ კონსტანტინეს. იგი იმხანობა ქუთაისურ ჟურნალ „განთიადს" რედაქტორობდა და მისი თბილისური ბაზა „მერანში" ჰქონდა.

მაჩაბლის ქუჩიდან, თათბირის შემდეგ, ისევ რუსთაველით ჩამოვიარე. „მერანთან" ისევ კონსტანტინე ლორთქიფანიძე დავინახე. იგი მანქანისკენ მიდიოდა, მგონი, ქუთაისში წასვლას აპირებდა. როგორც შემნიშნა, დამიძახა, მოდი აქაო, და უკან შებრუნდა. თავის სამუშაო ოთახში მეუბნება, — რატომ არ გინდა შენ ეს კრებული რუსთაველის პრემიაზე წარვადგინოთ?! (რადგან მეხუმრა, მეც ხუმრობად მივიღე. გამეცინა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 183-208, 213-225.

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

ახლა ბატონი სააკაშვილი უფრო მეტად წააგავს სხვა ყაიდის ლიდერს, რომელმაც აირჩია ერის აღორძინების სრულიად საწინააღმდეგო გზა — ვგულისხმობთ ვლადიმერ პუტინს, რუსეთის, იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც საქართველოს მეზობელია, და ამჟამად ხშირად ასრულებს ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნის როლს




**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## საქართველოს მომავალი მის წარსულს წააგავს

**მიხეილ სააკაშვილი, ადამიანი, რომელმაც განათლება მიიღო ამერიკაში და თავისუფლად ფლობს ოთხ ენას, აგრეთვე თავისუფალი ბაზრის და დემოკრატიის მომხრეა, თურმე, სულაც არ წააგავს სხვებს. როცა 2003 წლის უსისხლო რევოლუციის შემდეგ იგი საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, მაშინ ბევრს ეგონა, რომ ეს კაცი შეძლებდა პოსტსაბჭოური სივრცის ხსნას. იგი თითქოს სულ სხვა სამყაროდან მოიხმეს ვაშინგტონის ანალიტიკურმა ცენტრებმა და ევროპის სამართალქომაგთა ორგანიზაციებმა.**

მაგრამ მიმდინარე კვირას, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის მთავრობამ სასტიკად დაარბია ხალხმრავალი დემონსტრაცია, უხეში ძალის გამოყენებით დახურა ოპოზიციური ტელევიზია და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო, მისმა ყველაზე თავგამოდებულმა მომხრეებმაც კი შენიშნეს, რომ ამ ადამიანის მმართველობის სტილი წააგავს სწორედ იმ ტირანებისას, რომლებსაც საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ოდესღაც ასე ზიზღით მოიხსენიებდა. რა მოხდა, ამ ადამიანმა გვიჩვენა თავისი ნამდვილი სახე, თუ შეიცვალა, რადგან ველარ გაუძლო ძალაუფლების ტვირთს?

ამ ბოლო წლებში საქართველოს გაცილებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე ეს ქვეყანაში სინამდვილეში იმსახურებდა თავისი ტერიტორიების სიმცირიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანწილად, ეს იმის წყალობით მოხდა, რომ ბატონი სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს აღიქვამდნენ როგორც სანიმუშო მოდელს იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სურთ განთავისუფლდნენ დესპოტიზმისა და კორუფციის უღლისგან, ათწლეულების განმავლობაში რომ ატარებდნენ.

ახლა ბატონი სააკაშვილი უფრო მეტად წააგავს სხვა ყაიდის ლიდერს, რომელმაც აირჩია ერის აღორძინების სრულიად საწინააღმდეგო გზა — ვგულისხმობთ ვლადიმერ პუტინს, რუსეთის, იმ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც საქართველოს მეზობელია, და ამჟამად ხშირად ასრულებს ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნის როლს. პარასკევისთვის უნდა გაუქმდეს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, ასე გამოაცხადა საქართველოს მთავრობამ, მაგრამ ეს მაინც ველარ ჩამორეცხს ლაქას ბატონ სააკაშვილის რეპუტაციას.

**„ჩემი აზრით, მიშა ავტორიტარიზმისკენ მიილტვის,** — აღნიშნა ამერიკელმა ადვოკატმა და სამართალქომაგმა სკოტ ჰორტონმა, რომელიც შუა 90-იან წლებში ასწავლიდა კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, როცა იქ მიხეილ სააკაშვილი სწავლობდა, მოგვიანებით კი მიიწვია იგი სამუშაოდ ნიუ-იორკის ადვოკატთა ფირმაში და ახლაც აქვს მეგობრული ურთიერთობა საქართველოს ლიდერთან. — მე ასე ვიტყოდი: **მიშასა და პუტინს შორის რაღაც საერთოა იმაში, როგორც ისინი ეკიდებიან საპრეზიდენტო ხელისუფლებას და პრეზიდენტის პრეროგატივებს“. როგორც ბატონმა პუტინმა, დასძინა შემდეგ სკოტ ჰორტონმა, ისე სააკაშვილმაც დააკნინა პარლამენტის მნიშვნელობა, საზოგადოებრივი ცხოვრების მეორე პლანზე გადასწია ოპოზიცია.**

ამასთან, ამერიკელი ადვოკატის და სამართალქომაგის თქმით, მას არ მიაჩნია, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში — საქართველოში, რომელიც კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს, თანდათანობით მყარდება დიქტატურა, რომ ბატონი სააკაშვილი ისეთივე ავტორიტარული მმართველი გახდა, როგორიც პუტინი. და მაინც, როგორც თბილისში, ისე დასავლეთში, სააკაშვილის მოკავშირეები ჯერჯერობით ვერ შეთანხმებულან ასეთ საკითხზე: ხომ არ გახდა ეს კაცი, როგორც ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი, „ძლიერი მმართველი ხელის“ იდეის მორიგი მომხრე?

მაღალი თანამდებობის ამერიკელმა დიპლომატმა მეთიუ ბრაიზამ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა თბილისში და ცდილობდა სააკაშვილის დარწმუნებას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების აუცილებლობაში, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ იგი თანაუგრძნობს ბატონ სააკაშვილს, რომელიც უძლებს ძალზე დიდ ზემოქმედებას. თუმცა, **ბატონმა ბრაიზამ დასძინა, რომ ოპოზიციური ტელეარხის დახურვით სააკაშვილმა, როგორც იტყვიან, შოკში ჩააგდო ვაშინგტონი.**

შეერთებული შტატების დედაქალაქში ბატონ სააკაშვილს ამ ბოლო წლებში უდიდესი წარმატება ჰქონდა, იგი რეგულარულად აკეთებდა პოლიტიკური საკითხებისადმი მიძღვნილ მოხსენებებს და ხშირ-ხშირად ჩნდებოდა ამ ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელთა კაბინეტებში. სააკაშვილი ასევე პოპულარული იყო იმ პოლიტიკოსთა შორისაც, რომელსაც სურდათ მოესმინათ მისი წარმატებების შესახებ — კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური ზრდა, სასამართლო რეფორმა. საქართველოს პრეზიდენტი ხუმრობდა კიდეც, რომ მისი გამოჩენა კონგრესში, ალბათ, უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე იქ თვით ბრიტნის სპირსის მისვლა.

ამ ბოლო ხანებში კრიტიკის პასუხად სააკაშვილი ძალზედ მკაცრი ხასიათის განცხადებებს აკეთებდა, ამტკიცებდა, რომ ოპოზიციის პროტესტი საფრთხეს უქმნიდა ჯერ კიდევ მოუღონიერებელ ქართულ დემოკრატიას, რომ რუსეთი ცდილობს მის ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციას, და რომ სატელევიზიო არხი, რომელიც დაიხურა, ეწეოდა აგიტაციას მთავრობის დამხობის მიზნით. ამავე დროს, ტელეარხ „იმედს“ კვლავ არ განუახლებია მაუწყებლობა, უფრო მეტიც, ოფიციალური განცხადებებით, ოთხშაბათს სასამართლომ შეუჩერა მას ლიცენზია პროკურატურის მოთხოვნით.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პარალელურად, მან იანვრისთვის დანიშნა ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნები, რითაც ოპოზიციას მისცა იმის შესაძლებლობა, რომ მიზანს მიაღწიოს კანონიერი გზით.

ბატონ სააკაშვილის მრჩევლებს მიაჩნიათ, რომ მთლად სამართლიანი არ არის, როცა დასავლეთი აკრიტიკებს საქართველოს. მათი მტკიცებით, საქართველო მდებარეობს მსოფლიოს იმ რეგიონში, რომელშიც ჩვეულებრივ ნორმადაა მიღებული ბინძური თამაში და პოლიტიკური ინტრიგები. **უფრო მეტიც, აცხადებენ მრჩევლები, უპასუხისმგებლო ოპოზიციის გარდა, მთავრობას უამრავ პრობლემას უქმნის კიდევ ორი სეპარატისტული რეგიონი, რომლებიც მოსკოვისგან იღებენ დახმარებას და ყოველთვის არიან მზად სრულმასშტაბიანი საომარი კონფლიქტის გასაჩაღებლად.**

**კლიფორდ ჯ. ლევი**

The New York Times

---



## მოსკოვმა თბილისს არგუმენტები გაუბათილა

**დასრულდა საქართველოში რუსების თითქმის ორსაუკუნოვანი სამხედრო ყოფნა. 200 ტონა სამხედრო ქონებით დატვირთულმა უკანასკნელმა ეშელონმა რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები ბათუმიდან სომხეთის ქალაქ გიუმრიში გადაიყვანა, სადაც დისლოცირებულია სამხრეთ კავკასიაში რუსების უკანასკნელი სამხედრო ბაზა.** რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანაშემწემ იგორ კონაშენკოვმა გვაცნობა, რომ ეშელონი სომხეთში გაიგზავნა დამატებითი დაკომპლექტების მიზნით და იგი დაბანაკდება ქალაქ გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაში. „საქართველოში რჩებიან მხოლოდ ჩვენი სამშვიდობოები — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“, — განმარტა სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა არმიის გენერალმა ალექსეი მასლოვმა და დასძინა, რომ ბათუმიდან ბაზის გატანა 2008 წლის განმავლობაში იყო დაგეგმილი, მაგრამ რუსეთმა ეს ვადამდე გააკეთა. ქართული მხარისთვის ბათუმის სამხედრო ბაზის გადაცემის შესახებ აქტს ხელი მოაწერეს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა ანდრეი პოპოვმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ. ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც მწვავე შიდაპოლიტიკურ კრიზისს განიცდის, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ განაცხადა: ჩაისახა იმედი, რომ რუსები ასევე სწრაფად გაიყვანენ თავიანთ „ეგრეთ წოდებულ სამშვიდობოებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან“. მაგრამ, სამშვიდობოების გაყვანა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომელიც დარწმუნებულია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით აფხაზეთში მოქმედი ცისფერჩაფხუტიანები, აგრეთვე სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსი სამშვიდობოები, რომლებიც რეგიონში შეიყვანეს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, არსებითად, აფიქსირებენ საზღვარს ამჩამოშორებულ ტერიტორიებსა და დანარჩენ საქართველოს შორის და ყოველმხრივ იცავენ თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელისუფალთა ინტერესებს.

ოფიციალური თბილისის მტკიცებით, რუსეთმა ამ დღეებში აფხაზეთში შეიყვანა დამატებითი ქვეგანაყოფები და ტექნიკა. იმის მიუხედავად, რომ ამას უარყოფენ მოსკოვი და სოხუმი, გაეროს მეთვალყურეთა მისიას კი არ დაუდასტურებია მსგავსი ინფორმაცია, ოთხშაბათ საღამოს ექიმებთან შეხვედრის დროს, მიხეილ სააკავშილმა გაიმეორა ის, რაც მან ერთი დღის წინ თქვა პედაგოგებთან საუბრისას. საქმე ეხება საფრთხეს რუსეთის მხრიდან, რომელიც ემზადება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიისთვის.



ასეთი პოზიცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ სააკაშვილმა უკვე არაოფიციალურად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია — გარეშე მტრის ხატი, რომელიც, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში უკვე საკმაოდ მოყირჭდა ადგილობრივ საზოგადოებას, მაინც აქტუალურია. არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც თბილისის შეშფოთებას იწვევს. საქმე ეხება კოსოვოს, მხარეს, რომლის სუვერენიტეტის აღიარებასაც საერთაშორისო გაერთიანება უკვე გადაწყვეტილ საქმედ მიიჩნევს. როგორც არაერთგზით უთქვამთ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებს, თუ 10 დეკემბრამდე არ დასრულდება მოლაპარაკება კოსოვოს სტატუსის შესახებ, ისინი ცალმხრივად ცნობენ ამ მხარის დამოუკიდებლობას. ამის პასუხად მოსკოვმა განაცხადა, რომ კოსოვოს სუვერენიტეტის აღიარების შემთხვევაში, იგი ეცდება ანალოგიური პროცესი წამოიწყოს პოსტსაბჭოურ სივრცეში თვითაღიარებული წარმონაქმნების მიმართაც.

თბილისის შეშფოთება გაიზიარა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მეთიუ ბრაიზმაც. **ოთხშაბათ საღამოს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერით გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონი უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, და გამოთქვა იმედი, რომ ინფორმაცია აფხაზეთში რუსეთის დამატებითი ძალების შეყვანის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც ბრაიზამ თქვა, უახლოეს დღეებში შეერთებული შტატები რუსეთს პრინციპულად დაუსვამს ასეთ კითხვას: უჭერს თუ არა იგი მხარს საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას?**

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

• შობადობის დაბალი დონისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ქვეყნიდან გადინების მიუხედავად, კვლავ იზრდება დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის რიცხვი



# ევროკავშირი რუსეთის იგნორირებას აპირებს

**ევროპის კავშირი აპირებს ხელში აიღოს ინიციატივა კოსოვოს საკითხის გადაწყვეტაში. კოსოვო „ოჯახური“ პრობლემა ევროპისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ვერც რუსეთის ფედერაციაზე და ვერც ამერიკაზე, განაცხადა სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა იანეზა იანშიმ, რომლის სამშობლოც იანვარში ხდება ევროკავშირის თავმჯდომარე-ქვეყანა.**

ევროკავშირი მხარს დაუჭერს გეგმას, რომელიც ითვალისწინებს, რომ კოსოვოს ალბანურ უმრავლესობას მიენიჭება სერბეთისგან დამოუკიდებლობა, თუ პრიშტინა დათანხმდება საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან ზედამხედველობას და უზრუნველყოფს გარანტიებს სერბი-უმცირესობისთვის.

ეს წინადებები, ფაქტობრივად, არის იმ გეგმების „მოდერნიზაცია“, რომლებიც მიმდინარე წლის დამდეგს მოამზადა გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა მარტი აჰტისაარმა, – თქვა იანშიმ.

აჰტისაარის გეგმა მოიწონა პრიშტინამ, მაგრამ უარყო ბელგრადმა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს, რომ ამჟამად გაეროს მმართველობის ქვეშ მყოფი ეს ტერიტორია სერბეთის შემადგენლობაში უნდა დარჩეს.

იანშის თქმით, ევროკავშირის გეგმა, სავარაუდოდ, გაითვალისწინებს კოსოვოსთვის გაცილებით მეტ შეზღუდვებს, ვიდრე ეს დაფიქსირებული იყო აჰტისაარის კონცეფციაში. თუმცა, კონკრეტული დეტალების გამხელისგან მან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ დასახვეწია.

ამის პარალელურად იანშიმ გამოთქვა შეშფოთება, რომ ევროკავშირი ვერ შეძლებს გეგმის განხორციელებას მოლაპარაკების ფორმით, თუ მას არ ექნება გაეროს მხარდაჭერა. „ჩემი აზრით, ეს წინადადება იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ევროპის კავშირს შეუძლია შეიმუშაოს მისი გადაჭრის საერთო კონცეფცია, ან, ყოველ შემთხვევაში, ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან ერთსულოვანი პოზიციის იმედი მაინც იქონიოს“, – თქვა მან.

იანშის განცხადება გაისმა მაშინ, როცა გაერო უკანასკნელად ცდილობს მიაღწიოს რაიმე შეთანხმებას ბელგრადსა და პრიშტინას შორის 10 დეკემბრამდე, როცა უნდა გადაწყდეს კოსოვოს საკითხი. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ვითარების მოწესრიგების გეგმას არ მოიწონებს გაერო, რადგან რუსეთი აცხადებს, რომ დაბლოკავს ნებისმიერ პროექტს, რომელიც სერბეთისთვის მიუღებელი იქნება.

იანეზა იანშიმ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ „ალბათ“, შეუძლებელი იქნება შეთანხმების მიღწევა, „რადგან არ არსებობს საკითხის გადაწყვეტის ისეთი ვარიანტი, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებდა ორივე მხარის მოთხოვნილებებს. ვშიშობ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიად მიუღებელი იქნება. **ეს შექმნის რთულ ვითარებას, რომლის პირობებშიც ევროკავშირი ვალდებული იქნება იკისროს ინიციატივა, რადგან საქმე ეხება ევროკავშირის ეგრეთ წოდებულ „გარეუბნებს“, ეს კი არის ევროპის, და არა რუსეთის ფედერაციის ან შეერთებული შტატების „ოჯახური“ პრობლემა.**

# დიდ ბრიტანეთს იმიგრანტთა რეკორდული ნაკადი მიაწყდა

**დიდი ბრიტანეთი იმიგრანტთა უპრეცედენტო ნაკადის „მსხვერპლი“ გახდა. და ეს ხდება მაშინ, როცა თვით ბრიტანელები მასობრივად ტოვებენ ქვეყანას. მარტო 2006 წლის განმავლობაში შეერთებულ სამეფოში ჩავიდა 510 ათასი იმიგრანტი, 400 ათასმა კაცმა კი, ძირითადად ბრიტანელებმა, საზღვარგარეთ წასვლა არჩიეს.**

ამრიგად, გასული წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში გადასახლებულ უცხოელთა რიცხვმა პირველად გადააჭარბა ნახევარ მილიონს. ამასთან, საქმე ეხება მხოლოდ იმ იმიგრანტებს, რომლებიც ბრიტანეთის ტერიტორიაზე სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში აპირებენ დარჩენას. ოფიციალურ ანგარიშში არ არის შეტანილი ის ასი ათასობით ადამიანი, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ჩადიან აღმოსავლეთი ევროპიდან, და ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში ერთ წელიწადზე ნაკლებ ხანს დარჩებიან.

იმიგრანტთა უმეტესობას შეადგენენ ინდოეთის, პაკისტანის, ბანგლადეშისა და შრი-ლანკას მკვიდრნი. 2006 წელს ამ ქვეყნებიდან ბრიტანეთში ჩავიდა 200 ათასზე მეტი კაცი. ბოლო ათი წლის მანძილზე ქვეყანაში გადაბარგდა 4 მილიონზე მეტი უცხოელი, რომელთაგან სამშობლოში მხოლოდ 1,6 მილიონი დაბრუნდა. ამავე დროს, საზღვარგარეთ წასული 1,8 მილიონი ბრიტანელიდან სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა მხოლოდ 979 ათასმა კაცმა. ბრიტანეთის სამეფოს ქვეშევრდომთა უმრავლესობა ამჯობინებს გამგზავრებას ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში.

შობადობის დაბალი დონისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ქვეყნიდან გადინების მიუხედავად, კვლავ იზრდება დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის რიცხვი. ეს სავსებით გასაგებია, რადგან იმიგრანტთა ყოველწლიური რაოდენობა შეიძლება შევადაროთ ისეთი დიდი ინგლისური ქალაქის მოსახლეობის რიცხვს, როგორიც არის ბრისტოლი.

ბრიტანელთა წასვლა საზღვარგარეთის ქვეყნებში ამსამეფოსთვის უპრეცენდენტო მოვლენაა 1950-60-იანი წლების შემდეგ, როცა ავსტრალიის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე დასახლება შესთავაზა ბრიტანელებს სულ რაღაც 10 გირვანქა სტერლინგად და ამისთვის გამოყო უზარმაზარი სუბსიდიები. **ამჟამად შექმნილი ვითარების მიზეზი ჯერჯერობით გარკვეული არ არის, მაგრამ, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ამის ახსნა მარტივად შეიძლება: ხანდაზმული ასაკის ადამიანები სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან დამსახურებული დასვენებისთვის, ახალგაზრდები კი – იქ სამუშაოს შოვნას ცდილობენ.**




# განცხადება სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევის თაობაზე

**სს „ინტერტრანსსერვისი საზღვაო ვაჭრობის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 6 დეკემბერს ქ.ფოთში, ალმაშენებლის №50-ში, 14.00 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1.წლიური სამეურნეო შედეგების განხილვა-ბალანსი;

2.სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;

3.საზოგადოების აუდიტორული შემოწმების დანიშვნა, საზოგადოების წლიური შედეგების 1996-2005 წლების სამეურნეო საქმიანობის შემოწმებისა და საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების (ბალანსზე რიცხული ქონებისძ შეფასების შესახებ;

4.წმინდა მოგების განაწილების საკითხი;

5.საზოგადოების 2002 წლის 17 ივნისს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით „განხილულ იქნეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის 2001 წლის 01 ივნისის დასკვნა რესტრუქტურიზაციის შესახებ“ აღსრულების საკითხის განხილვა;

6.საგადასახადო დავალიანების საკითხის განხილვა.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები რეკომენდაციებს უწევენ, რომ აუქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან როგორც კრებაზე (ზეპირადძ, ასევე წერილობით, თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2007 წლის 27 ნოემბრამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი, ან საკითხი, შევა დღის წესრიგში დამატებით პუნქტად.

საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს (მათ წარმომადგენლებსძ რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ საალრიცხვო დღისათვის – 2007 წლის 23 ოქტომბრის მდგომარეობით. ამ ფაქტის შემოწმება აქციონერებს შეუძლიათ სს „ინტერტრანსსერვისი-საზღვაო ვაჭრობის“ აქციათა რეესტრის მწარმოებელთან, შპს „კაპიტალ-რეგისტრში“ 2007 წლის 27 ნოემბრამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №55. ტელ:8 (22ძ 23-03-84.



**ამა წლის 5 დეკემბერს გაიმართება ს/ს „საქმეტალინვესტის“ აუქციონერთა საერთო კრება 15 საათზე მის. მ. წინამძღვრიშვილის 110.**

**დღის წესრიგი:**

ს/ს „საქმეტალინვესტის“ წნორის საწარმოო უბანზე რიცხული მიწისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შესახებ.



**2007 წლის 26 ნოემბერს 13 საათზე განმეორებით მოწვეულია თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

**1. თბილსის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნი გ.ჭალაგანიძის განცხადების შესახებ.**

**2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოების (გამგეობის, მისი თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიისძ ვადამდელი არჩევნების შესახებ.**

**3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წესდებაში ცვლილებების შესახებ.**

**4. შემოსული განცხადებების შესახებ.**

**მისამართი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №7.**


№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

# ეს იყო, იყო...

**● სამოქალაქო ომის შემდეგ ხელისუფლებაში იარაღის ძალით მოსულმა „ტროიკამ“ ნასამართლევი იოსელიანის, კიტოვანისა და პროფესორ სიგუას შემადგენლობით, შს მინისტრად რომან გვენცაძე დანიშნა**



### ◉ ინფორმაცია

## მხოლოდ სამშვიდობოები რჩებიან

**საქართველოდან გასული რუსეთის ბაზის უკანასკნელი შემადგენლობა უკვე სომხეთში, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაზეა. რუსეთის ქვეითი ჯარების სარდალის თანაშემწის იგორ კონაშემკოვის განცხადებით, ამ დროისთვის სომხეთის ტერიტორიაზე მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები იმყოფებიან. მატერიალურ-ტექნიკური მასალით დატვირთული ეშელონი კი, რუსული დაცვის თანხლებით, გიუმრის ბაზას მოგვიანებით შეუერთდება.**

— ეს საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების უკანასკნელი ეშელონია. საქართველოში სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების გარდა, რუსი სამხედრო მოსამსახურე აღარ დარჩა, — განაცხადა კონაშემკოვმა.

კონაშემკოვის ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეების გარკვეული ნაწილი გიუმრის ბაზაზე გააგრძელებს სამსახურს, ნაწილი კი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოკრუგს შეუერთდება.

## რუსეთის ელჩი კიდევ ერთხელ გამოიძახეს

**შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რუსეთის რიგი ოფიციალური პირის, მათ შორის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების განცხადებებზე, რომლის თანახმად, რუსეთის მხარეს განზრახული აქვს სახელმწიფო სათათბიროს 2 დეკემბრის არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესის ორგანიზება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონებში — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.**

ქართულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი არჩევნების ორგანიზება საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის ქმედებები განხილულ იქნება, როგორც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევა და საქართველოს სუვერენიტეტის შელახვა. აღნიშნულის შესახებ რუსულ მხარეს უკვე მიეწოდა დიპლომატიური არხებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ნოტა.

ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მზადყოფნა, ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ◉ 10 ნოემბერი პოლიციის დღე იყო

# დამოუკიდებლობის 17 წელი და 9 შს მინისტრი

**ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან 17 წლის განმავლობაში 9 შინაგან საქმეთა მინისტრი გამოიცვალა. ჩვენი გაზეთი შეეცადა თითოეული მათგანის მოღვაწეობა ექსპერტების, სპეციალისტებისა და მათი ყოფილი კოლეგების მოსაზრებებისა და შეხედულებების მიხედვით შეეფასებინა, წარმოეჩინა მათ მიერ გატარებული ღონისძიებების დადებითი და უარყოფითი მხარეები, შეძლებისდაგვარად, დაედგინა მინისტრების ამჟამინდელი ადგილსამყოფელი და მოღვაწეობის სფერო.**

## 1. პირველი მინისტრი, რომელიც შემდგომ ყველა ხელისუფლებას მოერგო

**იმ პერიოდში, როდესაც კომუნისტური რეჟიმი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ქვეყანაში სრულმა ანარქიამ და ქაოსმა დაისადგურა. ამაში თავისი წვლილი მიუძღოდა, როგორც საქართველოს სსრ-ს ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის გარკვეულ წრეს. დემორალიზებულნი აღმოჩნდნენ სამართალდამცავი ორგანოებიც. განსაკუთრებით შსს.**

ასეთ ვითარებაში გამარჯვებულმა ეროვნული მოძრაობის კოალიციამ შს მინისტრად დანიშნა სამოქალაქო პიროვნება, რომელსაც მანამდე არავითარი შეხება არ ჰქონია სამართალდამცავ სტრუქტურებთან, წარსულში ცნობილი ძიუდოისტი დილარ ხაბულიანი. გამოუცდელ მინისტრს მის წინამორბედ შოთა გორგოძისგან ფეხბურთის მარცვლებივით დაბნეულად და „დემორალიზებული“ მემკვიდრეობა ხვდა.

ხაბულიანის მინისტრობის შეფასებისას, ექსპერტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს, ბევრი სხვა სფეროს კოლეგა-მინისტრებისგან განსხვავებით, ეყო გამჭრიახობა და კომუნისტების დროს ნაკლებად კორუმპირებული კადრები შს ორგანოში დატოვა. ზოგიერთი მათგანი კოლეგიაშიც შეიყვანა. დაბალ რგოლებში ავტორიტეტის მოპოვების მიზნით, ხაბულიანმა პირველ მოადგილედ საზოგადოებაში (განსაკუთრებით კი სამართალდამცავ ორგანოებშიძ უაღრესად პოპულარული და დიდი ავტორიტეტის მქონე რომან გვენცაძე დანიშნა.

ხაბულიანის მინისტრობის პირველ ეტაპზე საქართველოში კრიმინოგენური ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი სტრუქტურა — შინაგანი ჯარი. მისი აღმშენებლობის პროცეს-



ში მონაწილეობისათვის სსრკ-ს რეგიონებიდან ჩამოსვლა დაიწყეს საბჭოეთის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე გამოცდილმა, მოქმედმა, პროფესიონალმა კადრებმა.

„მრგვალი მაგიდის“ მმართველობის პერიოდში გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობას, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, სსრკ არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა. ქართულ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნდა ვალუტა. ძალოვანებს, სამართალდამცავებს ისევ მოსკოვი აფინანსებდა. ამ ფაქტორების გამო დილარ ხაბულიანი იძულებული იყო გარკვეული ანგარიში გაეწია საკავშირო შსსსათვის. თუმცა ყოველმხრივ ცდილობდა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვას.

ეროვნულ მოძრაობაში გაჩენილი ამბიციურობის ნიადაგზე წარმოქმნილი უთანხმოებანი მალე ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლიტიკოსების შეცდომებით კარგად ისარგებლეს კრიმინალებმა, შავი წარსულის პიროვნებებმა, ისინი ეტმასნებოდნენ ეროვნული ან „დემოკრატიული“ ნიშნით გამოყოფილებს. როდესაც საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდა, მათ ხელში უამრავი იარაღი აღმოჩნდა. ქვეყანაში დაიწყო განუკითხაობა.

იმდროინდელი „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლები და თანამედროვე ექსპერტები გამოუცდელი მინისტრის კრიმინალთა თარეშის აღუკვეთაობასა და სტატისტის როლში ყოფნისათვის ადანაშაულებდა. შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებამდე შსს ოფიციალურად აცხადებდა, რომ სამოქალაქო ომის დაწყების შემთხვევაში, არც ერთ მხარეს არ დადგებოდა და შეასრულებდა გამყოფ ღობეს დაპირისპირებულთა შორის. ხაბულიანმა პირობა შეასრულა. შსს ბოლომდე დარჩა ნეიტრალურ მხარედ. თავად ხაბულიანმა ამხელა წნეხს ვერ გაუძლო და ჯანმრთელობის მდგომარეობის მომიზეზებით თანამდებობიდან გადადგა.

სპეციალისტთა გადმოცემით, ქვეყანაში არეულობამ, დაპირისპირებამ, სამართალდამცავთა უმოქმედობამ და კრიმინალთა განუკითხავმა თარეშმა სამართალდამცავთა მაღალჩინოსნები კვლავ ჩაითრია კორუფციის მორევში. როგორც ამბობენ, ამაში ჩართული აღმოჩნდა შს მინისტრიც. დილად ხაბულიანს, მისი №1 პოლიციელად ყოფნის პერიოდში ზუგდიდელებმა ზედმეტსახელად „ხარფულიანიც“ კი შეარქვეს.

გამოუცდელი სამართალდამცავი, საკმაოდ მიზანდასახულ პოლიტიკოსად მოგვევლინა. მან სწრაფად მოაგვარა ურთიერთობები ახალ ხელისუფლებასთან. შევარდნაძის პერიოდში იმდენი მოახერხა, რომ ქვეყნის მეთაურის ოჯახთან უაღრესად დაახლოებულ პირს ნატო ონიანს სვანეთში არჩევნებიც კი მოუგო და პარლამენტარი გახდა. ამას მოჰყვა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად არჩევაც.

ხაბულიანს ურთიერთობების მოგვარება არც „ვარდებით“ მოსულებთან გასჭირვებია, დღეს იგი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელია.

## 2. სამოქალაქო ომის შემდგომდროინდელი მინისტრი

**სამოქალაქო ომის შემდეგ ხელისუფლებაში იარაღის ძალით მოსულმა „ტროიკამ“ ნასამართლევი იოსელიანის, კიტოვანისა და პროფესორ სიგუას შემადგენლობით, შს მინისტრად რომან გვენცაძე დანიშნა. ანალიტიკოსთა აზრით, პროფესიონალისა და ავტორიტეტის მქონე პიროვნების მინისტრად დანიშვნა „სამეულს“ იმისათვის სჭირდებოდა, რომ თავისი არაპოპულარობა გვენცაძის მეშვეობით გადაეფარა ხელისუფლების სათა-**



**ვეში მოქცეულთ, სურდათ პოპულარული პიროვნების მეშვეობით სრულად დაექვემდებარებინათ შსს სისტემა.**

გვენცაძის მინისტრობის პერიოდი ყველაზე მძიმე იყო დამოუკიდებლობააღდგენილი ქვეყნის შს მინისტრებს შორის. შეიარაღებული ბანდების, მხედრიონის, გვარდიის და სხვა უკანონო გასამხედროებული ფორმირებების თარეშს დასასრული არ უჩანდა. ყოველდღიურად ხდებოდა შეიარაღებული თავდასხმები პოლიციის შენობებზე, იარაღის გატაცებისა და აშკარა დანაშაულისათვის დაკავებულთა განთავისუფლების მიზნით.

საყოველთაო განუკითხაობის პერიოდში კატასტროფულად იმატა მძიმე დანაშაულებმა (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაძ. ყოველდღიურ მოვლენად იქცა ყაჩაღობები დამამძიმებელ გარემოებებში, ქურდობა, ავტომანქანების გატაცება, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები.

შს ორგანოებთან შეუთანხმებლად „სამშობლოს“ სიყვარულში გაყაჩაღებული ბიჭები, როგორც მხედრიონსა და სხვა შეიარაღებულ ბანდფორმირებებს მოსახლეობაში უწოდებდნენ, ე. წ. დედაქალაქისა და სხვა მსხვილ ქალაქებში ატარებდნენ უკანონო რეიდებსა და ჩხრეკებს, რეიდების დროს ვითომდა საეჭვოდ მიჩნეულ ტრანსპორტს მფლობელებს ართმევდნენ. ნაძარცვს იკანონებდნენ, მფლობელთ გამოსასყიდს სთხოვდნენ ან უბრალოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაჰყავდათ, ნარკოტიკებში ცვლიდნენ. უზომოდ იმატა შემთხვევებმა, როდესაც დანაშაულზე წასწრებულთ მინისტრზე აშკარა ზეწოლის შედეგად სამხედრო ფორმირებების ხელმძღვანელები ათავისუფლებდნენ.

ქვეყანაში დადგა კრიმინალთა ხელშეუხებლობისა და იარაღის სამართლის ხანა. ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო ომში დამარცხებულებმა სამეგრელოსაკენ დაიხიეს და სამ ქალაქში (ზუგდიდი, ჩხოროწყუ, წალენჯიხაში)გამაგრდნენ. ისინი ნაწილობრივ აკონტროლებდნენ ხობსა და მარტვილსაც.

გვენცაძე სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად მოლაპარაკებებს აწარმოებდა გამსახურდიას შეიარაღებული ძალების სარდალთან ლოთი ქობალიასთან, შემორიგების თაობაზე. ერთ-ერთ ასეთ მოლაპარაკებაზე ზუგდიდში, გრიშა ქობალიასთან (ამჟამად პარლამენტარი და უმრავლესობის წევრი)ძსახლში მისული გვენცაძე და ათზე მეტი დე ფაქტო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი უცნობმა პირებმა გაიტაცეს. უკანონო პატიმრობაში შს მინისტრმა, პოლიციის გენერალმა ერთ თვეზე მეტი დაჰყო.

მომხდარი და ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენური ვითარება გვენცაძემ, როგორც პროფესიონალმა, პირად შეურაცხყოფად აღიქვა და 1992 წელს თანამდებობიდან გადადგა. პოსტიდან წასვლის შემდეგ ყოფილი მინისტრი შევარდნაძემ პოლიციის აკადემიის უფროსად დანიშნა. ამ თანამდებობაზე მან ცოტა ხანი დაჰყო. საკუთარი სურვილით მორიგი გადადგომის შემდეგ ქველმოქმედებას მიჰყო ხელი. შემდეგ, უკვე კვირაიას მინისტრობის დროს, იგი დააბრუნეს შს ორგანოებში, ექს-მინისტრი შს მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. თანამდებობაზე ერთი წლის მუშაობის შემდეგ გვენცაძე, კვირაიასთან უთანხმოების გამო, შს სისტემიდან დაითხოვეს.

პოლიციის გენერალმა პოლიტიკაშიც სცადა ბედი. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მან „აღორძინებიდან“ იყარა კენჭი და დეპუტატიც გახდა.

როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, გვენცაძეს საკმაოდ ახლო ურთიერთობები აქვს დღევანდელ ხელისუფლებასთან. ამის დასამტკიცებლად ის მოჰყავთ, რომ დღევანდელ შსს-ს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში (სოდძ მისი ვაჟი ლევან გვენცაძე ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსია. თუ რა კეთდება და რა მდგომარეობაა ქვეყანაში ამ კუთხით, საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი.

**ზაზა ბილიხოძე**

**(გაგრძელება იქნება)**

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

# სპორტი

● ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი“ მიმდინარე გათამაშებაშიც ჩინებულად გამოიყურება, რასაც ჯგუფური რაუნდის სტარტზე მოპოვებული ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოწმობს



**ორბიტაზე**



## დღეს გადამწყვეტი მატჩებია

**გუშინ უკვე ვწერდით, თუ როგორ უყურებს ფეხბურთში საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოტლანდია-იტალიის დღევანდელ მატჩს ევრო-2008 შესარჩევ ციკლში.**

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კონტინენტის საფეხბურთო დათვალიერებაზე ინგლისის ნაკრების მოსახვედრად ისრაელ-რუსეთის დღევანდელ შეხვედრას. რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ფეხბურთის სამშობლოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ყოველგვარ შანსს კარგავს, რასაც ბრიტანეთში დიდ ფინანსურ კატასტროფადაც მიიჩნევენ.

ისრაელში ამ მატჩს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ბილეთების ფასმა „ასტრონომიულ სიმაღლეს“ მიაღწია. რუსეთიდანაც მოელიან გულშემატკივართა დიდ ლაშქარს. როგორც იტყობინებიან, VIP-1 ლოჟის 160 ბილეთიდან, თითოეული 2 ათასი დოლარი რომ ღირს, აგრეთვე VIP-2 ლოჟის ათასდოლარიან 700 ბილეთიდან შემოსავალმა მილიონ ასი ათას დოლარს მიაღწია. მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას 12 ქვეყანა აპირებს, ჩანაწერს კი კიდევ ათობით სახელმწიფო აჩვენებს.

როგორც ჩანს, რუსები მაინცდამაინც არ გაახარა მატჩის მთავარ მსაჯად იტალიელი სტეფანო ფარინას დანიშვნამ. რუსულმა პრესამ მას უამრავი ნაკლი გამოუძებნა. ალბათ იმიტომ, რომ იტალიელი უკვე სჯიდა სამ შეხვედრას რუსების მონაწილეობით – „ჰამბურგი“ – ცსკა - 3:2, ცსკა – „ვარდარი“ – 1:2 და „ზენიტი“ –„სევილია“– 1:1.



**ჭიდაობა**

## ოლიმპიური ჩემპიონის სახელობისა

**ახალგაზრდა მწვრთნელებმა – სოსო ბზარაშვილმა და გია ბაჟაშვილმა ავჭალაში, 120-ე საჯარო სკოლაში შექმნეს მსოფლიოს ხუთგზის და ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ლერი ხაბელოვის სპორტკლუბი. მაშინვე ჩაეყარა საფუძველი სახელოვანი ფალავნის სახელობის ტურნირს. წლეულს ამ ასპარეზობაში 160 ჭაბუკი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ქალაქ განჯის (აზერბაიჯანი) წარმომადგენლებიც.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: ასლან მეკეიძე (ნინოწმინდა), ირაკლი ქადაგიშვილი (თბილისი), ნიკა წოწოლაშვილი (რუსთავი), თორნიკე ასრათაშვილი (საგარეჯო), ონისე ლაიშვილი (ამბროლაური), მამუკა ილიაძე (ბათუმი), ლევან ბოჭორიშვილი (საგარეჯო), ლაშა გოგოლაური (გარდაბანი), ბექა პეტრიაშვილი (საგარეჯო), დავით ტლაშაძე (გორი), რასულ ალიევი (განჯა), ჯონი ყადიძე (ბათუმი), ომარ ბუსოშვილი (გორი), ივანე უძილაური (საჩხერე).

ტურნირს დაესწრო და პრიზიორებს საჩუქრები გადასცა თვითონ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა. კლუბის წევრები და მწვრთნელები კმაყოფილები არიან 120-ე საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ მარინე წერეთლის თანადგომით.

ავჭალელებს ამ დღეებში ორი საჭიდაო ლეიბიც გადაეცათ, რაც მათ ახალ ენერგიას შემატებს. აქაურებს მისაბაძი ხომ სხვაც ბევრი ჰყავთ, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი ზარბეგ ბერიაშვილი. მალე ალბათ მისი სახელობის ტურნირსაც გამართავენ.

**ბესიკ გაბრიაძე**

**ჭადრაკი**

## თავს უცხოდ არ იგრძნობენ

**თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში დღეს დაიწყება და 29 ნოემბერს დამთავრდება 10-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საასპარეზოდ საქართველოს 35 წარმომადგენელი გაემგზავრა. მათ შორის არიან შარშანდელი მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებულები – მარიამ დანელია და სოფიო გურამიშვილი (ორივე დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას შეგირდია).**



საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს დელეგაციაში მოჭადრაკეებთან ერთად მრავლად არიან მწვრთნელები (დავით გურგენიძე, გოგი მაჭარაშვილი, მაყვალა ხანთაძე, გოგი ხომერიკი, ალექსანდრე არსენიძე, გია მენაბდე, ლეონიდ ნეურონოვი) და მშობლებიც, სულ – 60 კაცი. იმედია, „შინაური გარემო“ ჩვენს მოჭადრაკეებზე დადებითად იმოქმედებს და ისინი წარმატებებით გაგვახარებენ.

## გაიმარჯვა ტოპალოვმა



**ესპანურ ვიტორიაში დასრულდა საჭადრაკო „ჩემპიონთა ტურნირი“ ექვსი დიდოსტატის მონაწილეობით.** ტურნირის ბოლოს ბრწყინვალედ ითამაშა ბულგარელმა დიდოსტატმა ვესელინ ტოპალოვმა. მან ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და პირველ ადგილზე გავიდა. ტოპალოვმა 1,5 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ მოთამაშეს. ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: ტოპალოვი – 7 ქულა 10-დან, პონომარიოვი (უკრაინა) – 5,5, პოლგარი (უნგრეთი) და ნისიპიანუ (რუმინეთი) – 5-5, კასიმჯანოვი (უზბეკეთი) –4,5, კარპოვი – 3.

**კალათბურთი**



## დარჩა სამი დაუმარცხებელი

**ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი“ მიმდინარე გათამაშებაშიც ჩინებულად გამოიყურება, რასაც ჯგუფური რაუნდის სტარტზე მოპოვებული ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოწმობს. მათგან უკანასკნელს ჟელკო ობრადოვიჩის გუნდმა საკუთარ დარბაზში „ბარსელონასთან“ მიაღწია – 76:66 („გ“ ჯგუფი).**

კატალონიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მორანდაისისა და კასუნის ძალისხმევით ბრძოლის პირველი ნახევარი არამარტო მრისხანე მეტოქეს, არამედ ფანატიკური გულშემატკივრობით განთქმულ მის ქომაგებსაც მოუგეს – 37:36, თუმცა მას შემდეგ, რაც იასიკიავიჩუსი, დიამანტიდისი და ცარცარისი გააქტიურდნენ, ბერძნული კლუბის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. კულმინაციად დროის ის მონაკვეთი იქცა, როცა 4 წუთის განმავლობაში ბურთის კალათში მოთავსებას ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებდა. სწორედ ამ ეპიზოდში გატეხა ნავსი სპანულისმა, პარტნიორები 62:56 დააწინაურა და სტუმრებს მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მოუსპო. დავძენთ, რომ ამჯერად უჩვეულოდ სუსტად ითამაშა „ბარსას“ იტალიელმა სნაიპერმა ბაზილემ, რომელმაც ერთადერთი სამქულიანი ჩააგდო.



დანარჩენი შედეგები: **„ა“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“ – „მონტეპასკი“ 76:61, „ჟალგირისი“ – „ოლიმპია“ 91:72. **„ბ“ ჯგუფი.** „უნიკახა“ – „მაკაბი“ 93:70, „ეფესი“ – „ლე მანი“ 66:63. **„გ“ ჯგუფი.** „რომა“ – „ბროზე“ 81:57.

სატურნირო მდგომარეობა: **„ა“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“, ცსკა – 3-3, „მონტეპასკი“, „ოლიმპიაკოსი“, „ჟალგირისი“, „ოლიმპია“ – 2-2, „პროკომი“, „ვირტუსი“ – 1-1 მოგება. **„ბ“ ჯგუფი.** „რიტასი“ – 4, „უნიკახა“, „არისი“ – 3-3, „ეფესი“, „ციბონა“, „მაკაბი“ – 2-2, „ლე მანი“, „მილანი“ – 0-0 მოგება. **„გ“ ჯგუფი.** „რეალი“, „პანათინაიკოსი“ – 4-4, „ბარსელონა“, „ფენერბახჩე“, „პარტიზანი“ – 2-2, „რომა“, „რუანი“ – 1-1, „ბროზე“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** ცსკა – „ჟალგირისი“, „ოლიმპია“ – „ტაუგრესი“, „ოლიმპიაკოსი“ – „პროკომი“, „მონტეპასკი“ – „ვირტუსი“, „რიტასი“ – „ეფესი“, „პარტიზანი“ – „რომა“, „რუანი“ – „პანათინაიკოსი“ **(21 ნოემბერი),** „მაკაბი“ – „ციბონა“, „ლე მანი“ – „უნიკახა“, „არისი“ – „მილანი“, „ფენერბახჩე“ – „ბროზე“, „ბარსელონა“ – „რეალი“ **(22 ნოემბერი).**

**ფეხბურთი**

## კაკა – ლამაზმანების კერპი

**ოცდაექვს ბრაზილიელ ქალიშვილს, სილამაზის კონკურსში რომ მონაწილეობდა, ძალზე უნდოდა ფეხბურთში ეროვნული ნაკრების ვარსკვლავის ნახვა.**



**ჯიშზე დასწრება და სიცოცხლით სავსე ბურთის ჯადოქრების, მსოფლიოს რომ აოცებენ, თვალნათლივ ხილვა.**

ლამაზმანებს განსაკუთრებით აინტერესებდათ იტალიური „მილანის“ ახალგაზრდა ნახევარმცველი კაკა, წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაზე მთავარი პრეტენდენტი. სიმპათიური ფეხბურთელი უცოლოა და ბრაზილიელ ქალიშვილებს მასთან საერთო ენის იოლად გამონახვის იმედი ჰქონდათ. ავტოგრაფებისა და ფოტოსურათების გარდა ისინი მორიდებულ ჭაბუკს კარგ გართობასაც სთავაზობდნენ.

იცოდა რა ამ „ფერიების“ ნამდვილად „ავი“ განზრახვა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების მთავარმა მწვრთნელმა დუნგამ მათ მინდორთან მიახლოება და საჰაერო კოცნის გაგზავნაც კი აუკრძალა.

ისიც კი მოიმიზეზა, რომ 21 ნოემბერს სან-პაულუში ურუგვაის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ვემზადებით და ხელს ნუ შეგვიშლითო...

# დღევანდელობა

● დღიდან დაარსებისა, აკადემიამ 133 სხდომა გამართა, 91 სამეცნიერო მოხსენება მოისმინა და 18 ექსპრესგამოფენა მოაწყო

◎ „პეგასი“ პეგასობს

## თქვენ ისე კარგად, დუმილს რომ ბევრად სჯობს

**ჯერ კიდევ როდის ბრძანა პითაგორამ: დუმილს ნუ დაარღვევ, ან თქვი ისეთი რამ, დუმილს რომ სჯობდეს.**

**ეს უკვდავი ძარაგმა წარუმძლვარა საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დემურ ბაშელეიშვილმა ერთობ შთამბეჭდავ წიგნს, რომელსაც აკადემიის „სამეცნიერო და სახელოვნებო ნაშრომების კრებული“ ჰქვია და რომლის კურთხევა (პრეზენტაციაძ ამ დღეებში გაიმართა.**

თუმცაღა, ორ თემატურ ნაწილად დაყოფილი, შინაარსითა და ფორმით გამორჩეული ეს კრებული ოდენ პირველი ტომია იმ ზღვა სამეცნიერო კვლევებისა, პრაქტიკული ღირებულების მქონე მოხსენებებისა თუ სახელოვნებო ნაწარმოებებისა, რომლებიც 12 წლის განმავლობაში დაგროვდა აკადემიის საცავებში.

აკადემიის სამეცნიერო საბჭო ინტენსიურად აგრძელებს მომდევნო ტომებზე მუშაობას და მკითხველს ჰპირდება, რომ მეორე და მესამე წიგნები ერთიერთმანეთზე საინტერესო და საგულისხმო იქნება.

ამის დასტურია ოთხ ათეულზე მეტი იმ ღირსეული მეცნიერისა და ხელოვანის შემოქმედება, რომლებიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ დარგობრივ აკადემიაში.

თავად განსაჯეთ: ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი და საპატიო წევრები არიან საქართველოს სახალხო მხატვრები, არტისტები, დამსახურებული არქიტექტორები, ცნობილი ლიტერატორები, ექიმები, საერთაშორისო და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, უმაღლესი სკოლის პროფესორები და სხვა.


სამეცნიერო და სახელოვნებო ნაშრომების კრებული

აკადემიის საპატიო წევრები არიან მსოფლიოში სახელგანთქმული ადამიანები, რომელთაც საქართველოსადმი, ქართული კულტურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. მათ შორის უპირველესი იყო ამერიკის ლეგენდარული პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, რომელიც უშურველად დაეხმარა ამ ზესახელმწიფოში ქართული კულტურის პოპულარიზაციის გრძელვადიან პროგრამას 1993-94 წლებში; საპატიო წევრები იყვნენ აგრეთვე დიდი მაესტრო ოდისეი დიმიტრიადი, გერმანელი რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი, ებრაელი მწერალი და რეჟისორი ეფრაიმ კიშონი და სხვები. აკადემიის საპატიო წევრთა შორისაა გენერალი ჯონ (მალხაზძ შალიკაშვილი, გერმანელი ექიმი რაინერ შმიტტი, უცხოეთში მოღვაწე არაერთი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე, ლიტერატორი და სხვა.

დღიდან დაარსებისა, აკადემიამ 133 სხდომა გამართა, 91 სამეცნიერო მოხსენება მოისმინა და 18 ექსპრესგამოფენა მოაწყო.

აი, მოკლე ჩამონათვალი იმ თემებისა, რომლებიც აკადემიის წევრებმა დაამუშავეს: **„ფერწერა და მისი სწავლების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში“; „არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის პრობლემები“; „ქართული შრიფტის ისტორია და დღევანდელობა“; „შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“, „გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი“; „უწყვეტი სამედიცინო განათლება“; „სიახლეები ესთეტიკურ და პლასტიკურ ქირურგიაში“; „ანთროპოკოსმიური მედიცინის აწმყო და მომავალი“ და ა.შ.**

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ აკადემიაში სახელოვანი ქართველი ექიმები მეწინავეობენ. სამეცნიერო კრებულის პირველ ტომში წარმოდგენილია რვა ექიმის, — პროფესორების გიორგი ჩახუნაშვილის, ვაჟა გვანცელაძის, იგორ დოლიძის, თენგიზ მეძმარიაშვილის, იოსებ სამხარაძის, სულხან ქემოკლიძის, კონსტანტინე ჩახუნაშვილის, ლევან ჭაჭიაშვილის, ვახტანგ ხუციძის ნააზრევი.

პროფესორი როლანდ კალანდაძე აკადემიის სამეცნიერო კრებულში წარმოდგენილია ნაშრომით — „ ქართული დემოკრატია აფხაზეთის, აჭარისა და ოსეთის საკითხის გადაწყვეტაში (1918-21 წ.წ.ძ“, ჩვენი ცნობილი ბიზნესმენი გოგი თოფაძე, რომელიც აკადემიის ინიციატივით დაარსებული „ქართული კულტურის მეცენატის“ ოქროს მედლის პირველი მფლობელია, კრებულში წარმოგვიდგება საინტერესო ნაწყვეტით თავისი ცნობილი წიგნიდან —„საქართველო ნეოკოლონიალიზმის ყულფში“.

ჩვენი გამორჩენილი მხატვარი გოგი თოთიბაძე სამეცნიერო კრებულიდან კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს, — „ავაღორძინოთ და განვავითაროთ კლასიკური სამხატვრო სკოლის საფუძვლები“; ხოლო პროფესორი თამაზ ნათიძე ქართული კულტურის ძეგლების ესთეტიკურ თვისებებზე გვესაუბრება.

თვით აკადემიის პრეზიდენტი დემურ ბაშელეიშვილი ერთობ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ნაშრომში —„ გლობალიზაცია და ეროვნული კულტურა“.

რაც შეეხება აკადემიის კრებულის მეორე ნაწილს, — ცნობილი მხატვრებისა და არქიტექტორების — თენგიზ ღვინიაშვილის, გურამ დოლიძის, ზაქარია თელიას, გიორგი თოთიბაძის, მერაბ მერაბიშვილის, ზურაბ ლეჟავას, ლევან მხეიძის, კიაზო ნახუცრიშვილის, ნოდარ ღოღობერიძის, დავით მხეიძის, ამერიკაში მოღვაწე ახალგაზრდა მხატვრის ნიკო ჩოჩელის და თვით დემურ ბაშელეიშვილის სახელოვნებო ნაწარმოებები, როგორც იტყვიან, თავად უნდა ნახოთ... ნახოთ და ისიამოვნოთ. ორიოდე სიტყვით მათზე ვერაფერს იტყვი.

**ამ ლამაზი სამეცნიერო და სახელოვნებო კრებულის გამოცემაში საკუთარი ფინანსური წვლილი გაიღო აკადემიის საპატიო დოქტორმა ზაურ კვიკვინიამ.**

**წიგნი გამოსაცემად მოამზადა საგამომცემლო სახლმა „პეგასმა“. მისი დიზაინერი და რედაქტორი, რა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდენტია.**

**სპარტაკ ქობულია**

◎ ონკოლოგია

## ოთარ მეტრეველი: კიბო იკურნება, თუ დროზე მიასწარი!..

**ქუთაისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე, საკმაოდ მოკრძალებულ შენობაში, დასავლეთ საქართველოს რეგიონული ონკოლოგიური ცენტრია განთავსებული.**

**პაციენტებს სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ რადიოლოგიური განყოფილების გამგე აკაკი ჩიხრაძე, გინეკოლოგი ნინო ჯაფარიძე და სხვები... ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩევა ტექნიკოს-ლაბორანტი ლიდა თორდია, რომლის კეთილი, იმედიანი ღიმილი ბევრ მის პაციენტს საგზლად გაჰყოლია ცხოვრების გზაზე...**

**გამოცდილი ქირურგი ოთარ მეტრეველი, უკვე 14 წელიწადია ამ დაწესებულებას ხელმძღვანელობს. 29 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მან ონკოლოგიურ ცენტრში დაიწყო მუშაობა. ვინ იცის, რამდენი ტკივილი და სიხარული შეხვედრია ამ ხნის განმავლობაში, რამდენი ადამიანის ფიქრი და დარდი გაუზიარებია...**


ოთარ მეტრეველი

— ონკოლოგობა უმძიმესი მოვალეობაა. თვით მოსამართლე ან პროკურორი ვერ გამოუტანს ადამიანს ისეთ მკაცრ განაჩენს, როგორიც ონკოლოგს გამოაქვს. თუმცა, ეს ჩვენი პროფესიაა, გვიყვარს ეს საქმე და ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად ვემსახუროთ მას, — ამბობს ბატონი ოთარი.

**— მაინც რას თვლით ონკოლოგებისთვის გადაულახავ პრობლემად?**

— პრობლემებს რა გამოლევს, მთავარი კი მაინც ის არის, რომ პაციენტები ჩვენთან დაგვიანებით მოდიან. ადრეული გამოვლენისა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში კიბოს თითქმის ყველა ფორმა იკურნება. ჩვენთან კი ხშირად მიდიან პაციენტები, რომლებსაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ III, IV სტადია, როდესაც ვეკითხებით — სად იყვნენ აქამდე, ათასგვარ გასამართლებელ საბუთს გვისაბუთებენ: ზოგი უსახსრობის გამო ვერ მოდის ექიმთან, ზოგს ტკივილი არ აწუხებდა... მესმის, რომ შინაგან ორგანოებში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები თვალით უხილავია, მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანმა უყურადღებოდ დატოვოს ცხვირზე, ტუჩზე, კანზე გაჩენილი წანაზარდები? ონკოლოგიურ კლინიკებში ათასგვარი შეღავათებია დაწესებული. ბევრს მართლაც არა აქვს მკურნალობისთვის საჭირო თანხა, მაგრამ ჩვენ არავის ვახრჩობთ! ბოლოს და ბოლოს, მე ვიმართლებ თავს იმ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც ჩვენთან ჩატარებულ ოპერაციებს აფინანსებენ...

**— მაინც, როგორ შეიძლება დაიზღვიოს ადამიანმა თავი ამ საშიში დაავადებისგან?**

— აუცილებელია დაავადების პრევენცია. სხვაგვარად ავთვისებიან სიმსივნეებს ვერ მოვერევით. ამ ოციოდე წლის წინათ ადამიანი სიცხის გასაზომადაც რომ მისულიყო ექიმთან, მას საფუძვლიანად იკვლევდნენ. ყველა პოლიკლინიკაში იჯდა ექთანი, რომელიც ავლენდა კიბოს ვიზუალურ ფორმებს. სამსახურშიც კი არ მიიღებდნენ ადამიანს, თუ მას საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება არ ჰქონდა გავლილი. სამწუხაროდ, ეს სისტემა დღეს მოშლილია და პროფილაქტიკური ღონისძიებები თითქმის არ ტარდება.

გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ სერიოზულ შეცდომებს უშვებენ საერთო ქსელის ექიმები. ვინ იცის, რამდენი პაციენტი მოსულა ჩვენთან დაგვიანებით სწორედ მათი უვიცობის გამო. ზოგჯერ უბნის ექიმი წლობით მკურნალობს ავადმყოფს, რომელსაც ონკოლოგის დახმარება სჭირდება. მე მათ მინდა ვთხოვო: როგორც კი შეამჩნევთ, რომ პაციენტს ვერ შველით, გამოუშვით ჩვენთან, არ შეიძლება ფულის გამო სასწორზე შევაგდოთ ადამიანის სიცოცხლე!

**— ხომ ვერ გაიხსენებთ გამორჩეულ შემთხვევებს თქვენი საექიმო პრაქტიკიდან?**

— ყველა შემთხვევა თავისებურად საინტერესო და გამორჩეულია. თუმცა, ვერასოდეს დავივიწყებ ერთ ფაქტს: 20 წლის წინათ, 12 წლის ზუგდიდელ გოგონას ძუძუს კიბო აღმოაჩნდა. ოპერაცია ჩავუტარეთ, მაგრამ მისი შველა მაინც ვერ შევძელით, 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა. ძალიან განვიცადე. ონკოლოგებს ძალზე რთულ სფეროში გვიწევს მოღვაწეობა, რაც თავისთავად მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე!..

**— ბატონო ოთარ, მაინც რომელ რაიონებს ემსახურებით?**

— ვემსახურებით დასავლეთ საქართველოს 26 რაიონს, სულ 2 მილიონამდე ადამიანს. ჩემი მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, გარკვეული თავისებურებებიც მაქვს შემჩნეული: კანის კიბოთი დაავადებულნი უფრო მეტად სამეგრელოს რეგიონიდან მოდიან, რადგან იქ უფრო მეტია ულტრაიისფერი გამოსხივება. ქალებში ფილტვის კიბოს შემთხვევები გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე მამაკაცებში. საერთოდ, კიბო ასაკოვანი ადამიანების დაავადებაა, თუმცა, ბოლო წლებში ის საგრძნობლად გაახალგაზრდავდა“...

**ბოლოს კი, მსურს კიდევ ერთხელ გავიმეორო: დასაწყისში კიბოს თითქმის ყველა ფორმა იკურნება, მთავარია, ადამიანები მეტი ყურადღებით მოეკიდონ საკუთარ ჯანმრთელობას...**

ესაუბრა
**ხათუნა ჩიგოგიძე**

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

● *თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,*
*ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



საქმე №2/4397-07

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

ქ. თბილისი 08 ნოემბერი 2007 წ.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილმა ერთპიროვნულად განიხილე კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის გიორგი ნემსაძის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.**

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-6[1], მე-7, მე-8, მე-11, მე-15 და 31-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება კავშირი (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიმართ.
2. აეკრძალოს კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ქონების განკარგვა.
3. კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენრგიის საბითუმო ბაზრის გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ადვოკატი ნიკოლოზ ბაკაშვილი, დაბადებული 1965 წლის 30 აგვისტოს სიღნაღის რაიონ სოფელ საქობოში. მცხოვრები ქ.თბილისი, იალბუზის №5. პროფესიით ეკონომისტი. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები
4. დაევალოს კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ყველა კრედიტორს, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული შესაბამის ვალუტში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ვალის არსებობას. ეცნობოს კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ყველა კრედიტორს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
5. შეჩერებელ იქნეს კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულება ბათილია, თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში.
6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომლებსაც კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, მოთხოვნათა წაყენების ვადაში განუცხადონ კავშირი (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ.
7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს, ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი პირი ვალდებულია ვალდებულების შესრულება ან/და ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გაკოტრების მმართველის მიმართ.
8. კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექტრონერგიის საბითუმო ბაზრის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღროს 2007 წლის 08 ნოემბრის 18 საათი.
9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნეს 04 თებერვალს 12 საათზე მისამართზე: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №1, თბილისის საქალაქო საქმეთა კოლეგია.
10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც კავშირ (ასოციაციაძ საქართველოს ელექრტოენერგიის საბითუმო ბაზარს აქვს საქმიანი ურთიერთობა.
11. დაევალოს კავშირ (ასოცოაციაძ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გაკოტრების მმართველს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც. გაეგზავნოს განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში შესატანად.
12. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

**მოსამართლე თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**

**ხსოვნა**

# რეზო შარტავა

**ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 78 წლის ასაკში გარდაიცვალა მშობლიური ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, ქართული სპორტის დიდი მოამაგე, ათეული წლების განმავლობაში აფხაზეთში მოღვაწე ფეხბურთის მწვრთნელი და პედაგოგი, ღირსეული პიროვნება ბატონი რეზო შარტავა. იდგა რა ქალაქ გაგრის საფეხბურთო სკოლის სათავეებთან, ბატონი რეზო დიდ ნიჭსა და უნარს ავლენდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა შერჩევისა და გაწვრთნის მიმართულებით. სწორედ მან მოუმზადა მთელი თაობები ქვეყნის პირველხარისხოვან გუნდებს. მას ლომის წილი მიუძღვის ისეთი საამაყო ქართველი ფეხბურთელების აღზრდაში, როგორებიც არიან ბატონები ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი და სხვები. ფეხბურთის შესანიშნავი მცოდნე და შემოქმედი სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი ქვეყნის საფეხბურთო პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯი და მაღალი რანგის კონსულტანტი იყო. იგი არაერთგზისაა დაჯილდოებული ყველა დონის სპორტული ორგანიზაციების მიერ მედლებითა და სიგელებით. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. გარდა ამისა, თავის დროზე მას დაევალა ქ. გაგრაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაც, რაც მან პირნათლად შეასრულა. ბატონმა რეზომ თავისი ძალების მოსინჯვა ბიზნესშიც მოასწრო, თუმცა სწორედ ამ დროს დაიწყო აფხაზეთში ყველასათვის ის ავადსახსენებელი მოვლენები, რომლებმაც იგი აიძულეს, ჩამდგარიყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების დამცველთა რიგებში. უკანასკნელი 15 წელიწადი მან, როგორც ბევრმა სხვა ჩვენმა თანამემამულემ, დევნილობაში გაატარა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი წუთი, რომ მისი ფიქრები და ოცნებები მშობლიურ აფხაზეთს და კერძოდ კი გაგრას ჩამოშორებოდეს, თვით მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებსა და წამებშიც კი.**



**სამწუხაროდ, რეზოს სამუდამო განსასვენებელი ადგილი მშობლიურ მიწაში არ ეღირსა. იგი მოსკოვის მიწამ მიიბარა, სადაც გასაგები მიზეზების გამო ბოლო წლებში მეუღლესთან, შვილთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობდა.**

**ბატონმა რეზო შარტავამ ამ ქვეყნად ნათელი კვალი დატოვა, როგორც პატრიოტმა, მეოჯახემ, მასწავლებელმა, მეგობარმა და ღირსეულმა პიროვნებამ. იგი ნამდვილად ძალიან დააკლდა ახლობელთა, ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობ ადამიანთა რიგებს, რომელთა მწუხარებაც უსაზღვროა მისი გარდაცვალების გამო.**

**მეგობრები**

**◉ გვწერენ**

# გულით მკურნალნი

**თბილისის მე-5 საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში რამდენჯერმე დამჭირდა სამედიცინო დახმარება. ჩემი ერთადერთი ქალიშვილიც ამ საავადმყოფოში მოევლინა ქვეყნიერებას.** აქ გულისხმიერი ექიმები მუშაობენ, რომელთაც პაციენტის ტკივილი გათავისებული აქვთ და მათი სიცოცხლით ხარობენ. წლეულს კი მეც და ჩემს ძმასაც დაგვჭირდა თიაქარის ოპერაციის გაკეთება. აღფრთოვანებული დავრჩი, რადგან ვერ წარმომედგინა, რომ არსებობს ასეთი ყურადღებიანი საქმის მცოდნე ექიმი-ქირურგი, როგორიცაა ქირურგიული განყოფილების გამგე გოჩა ბერაია. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ გოჩას, ანესთეზიოლოგს, ბატონ ავთანდილ გულიაშვილს და მთელ ქირურგიულ განყოფილებას. ასევე ვემადლიერები დირექტორს, ქალბატონ კესო დანელიას და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასეთი მაღალკვალიფიციური ექიმობისთვის განსაკუთრებით გამოვყოფდი ქირურგ გოჩა ბერაიას, რომელიც მთელი სულითა და გულით ზრუნავს ჩვენს ჯანმრთელობაზე. მჯერა, დაფასდება მისი თავდადება მედიცინისა და ხალხის წინაშე.

**დარეჯან იზორია,**
**პაციენტი.**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გადაიცვალა ჩვენი კოლეგა და მეგობარი, ჩინებული ჟურნალისტი და მამულიშვილი, რედაქციის საკუთარი კორესპონდენტი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში**

**ოდიკ მიხეილის ძე ქუხილავა**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და რეჟისორი, ჩვენი გაზეთის მეგობარი და ავტორი**

**გოდერძი ჩოხელი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ნათია, გიორგი, მანანა, ნუგზარ ფოფხაძეები, ანი ცაბაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრისა და ნათესავის**

**გოდერძი ჩოხელის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**მეუღლე ოთარ შარაძე, შვილები ნატო, ნუკრი, შვილიშვილები სალომე, ანი, მარიამი, რძალი დოდო ქობულაძე იუწყებიან**

**მზია (ნელიძ ლევანის ასულ მაჩაიძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 XI, 17 სთ. დაკრძალვა 20 XI, 14 სთ. მისამართი: გლდანის მასივი, მე-4 მიკრორაიონი, კორპუსი 109 ბ, მე-3 სადაბაზო.**

---

**უნივერსიტეტ „აჭარის“ პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონ ოთარ შარაძის მეუღლის**

**მზია (ნელიძ ლევანის ასულ მაჩაიძის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.**

---

**დოდო ადეიშვილი და ნოდარ ბაკურაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის**

**მზია ლევანის ასულ მაჩაიძის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების დეკანატის პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის**

**ლია ტაბიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* **98-65-87; 899 32-85-76.**

№ 226. შაბათი, 17 ნოემბერი, 2007 წელი.

● რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის ბიძინა (ბორისძ ივანიშვილის შვილები მილიარდერი ბავშვების რეიტინგში მოხვდნენ





## ინფორმაცია

### დღეიდან „კავკასიას“ ვუყურებთ



**ტელეკომპანია „კავკასიას“ მაუწყებლობა გუშინ, 19 საათიდან უნდა განეახლებინა.**

როგორც ტელეკომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნინო ჯანგირაშვილმა განაცხადა, მათ დაუკავშირდნენ ტელეანძის თანამშრომლები და უთხრეს, რომ ტელეკომპანია სიგნალს ზუსტად 19 საათზე მიიღებდა.

მისივე ცნობით, ტელეკომპანიამ საინფორმაციო გადაცემის მომზადება ვერ მოახერხა,ვინადან საგანგებო მდგომარეობა გუშინ 19.00 საათამდე ძალაში რჩებოდა და გადაღებები იკრძალებოდა.

რაც შეეხება თოქ-შოუებს, ტელეკომპანია „კავკასიაში“ აცხადებენ, რომ ეს გადაცემის დაგეგმვაზეა დამოკიდებული.

ჯანგირაშვილის ინფორმაციით, დღეიდან ტელეკომპანია სრული დატვირთვით ამუშავდება და მაუწყებლობას ძველი რეჟიმით გააგრძელებს.

**ინტერპრესნიუსი**

### სამოცდაათ მილიარდერ ბავშვს შორის ბიძინა ივანიშვილის შვილებიც მოხვდნენ

**რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის ბიძინა (ბორისძ ივანიშვილის შვილები მილიარდერი ბავშვების რეიტინგში მოხვდნენ.**

რეიტინგი ჟურნალმა „ფინანსმა“ გამოაქვეყნა და მასში რუსეთის სივრცეში მოქმედი მილიარდერთა შვილები დასახელდნენ.

მდიდარი მემკვიდრეების სია 70 წევრისგან შედგება. ივანიშვილის 4 შვილი ბოლო ათეულში აღმოჩნდა. მათ 60-ე, 61-ე, 62-ე და 63-ე ადგილები გაინაწილეს.

ივანიშვილს რომ საკუთარი პერსონის აფიშირება არასოდეს მოსწონდა, ეს აღნიშნული რეიტინგის გარეგნულ მხარეზე თვალშისაცემად აისახა – ჩამონათვალში ივანიშვილის შვილები, უფროსი, უტა ივანიშვილის გარდა, სახელისა და გვარის გარეშე არიან შეყვანილნი, მოცემული არ არის არც მათი დაბადების თარიღები.

თითოეული მათგანი 1,12 მილიარდი დოლარის პოტენციური მფლობელია.

რეიტინგის შედგენის პრინციპებიდან გამომდინარე, მშობლების ქონება შვილების რაოდენობაზე თანაბრად იყოფა. ამით დგინდება თანხის ის რაოდენობა, რამდენსაც მემკვიდრე ფლობს.

რეიტინგის პირველი ადგილი „ლუკოილის“ მფლობელისა და პრეზიდენტის ვაგიტ ალეკპეროვის ერთადერთ ვაჟს, 17 წლის იუსუფ ალეკპეროვს უკავია. იგი, როგორც ერთადერთი შვილი, მამის ქონების 12,30 მილიარდი დოლარის მფლობელია.

მომდევნო ადგილები კომპანია „საბაზო ელემენტის“ მფლობელის ოლეგ დერიპასკას შვილებმა გაინაწილეს, რომელთაგან თითოეულს 10,6 მილიარდი შეხვდება.

ჩუკოტკის გუბერნატორის რომან აბრამოვიჩის შვილები, იმის გამო რომ 5 არიან და თითოეულს მამის ქონების მეხუთედი, 4,2 მილიარდი ერგო, 23-27 ადგილებზე აღმოჩნდნენ.



სიის ყველაზე ნორჩი წევრი, ბანკ „როსიისკი სტანდარტის“ მფლობელის რუსტამ ტარიკოს 3 წლის ტყუპი ქალიშვილები არიან. ისინი პოტენციურად 2,15 მილიარდ დოლარს ფლობენ.

რეიტინგში მოხვდნენ მოსკოვის მერის იური ლუჟკოვისა და მისი მეუღლის, „გაზპრომის“, „სბერბანკის“ და „როსნეფტის“ აქციონერის ელენა ბატურინას 2 ქალიშვილი. თითოეულს 6 მილიარდი დოლარი ეკუთვნის.

რეიტინგის შედეგებით აღმოჩნდა, რომ მილიარდერთა ოჯახებში, საშუალოდ, 2 ბავშვი იზრდება. ზემოხსენებულ სიაში მრავალშვილიანები მხოლოდ აბრამოვიჩი და ივანიშვილი არიან.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ცხრა მთას იქით

**ქალები პრეზიდენტებსაც უყვართ. ქვეყნის პირველკაცობა ერთობ „გამოყენებადია“ მშვენიერთა სქესზე სანადიროდ. იშვიათად, რომ რომელიმე ქალბატონმა გაუძლოს „იმა ქვეყნის“ უძლიერესის შეტევას. არცთუ იშვიათად გაძლება არცაა საჭირო – ინიციატივა სუსტი სქესის წარმომადგენლისგანაც მოდის ხოლმე...**

„ქრესტომათიული“ მაგალითი მოგვცეს წლების წინათ მონიკა ლევინსკიმ და ბილ კლინთონმა. პრეზიდენტთა უხვსიყვარულიანობის ნიმუშები გახლავან ფიდელ კასტრო და განსვენებული (ჩამოხრჩობით განსვენებულიძ სადამ ჰუსეინი. უფრო ახლოდანაც შეიძლება მაგალითის მოხმობა...

### სიყვარული პრეზიდენტულად

ახლა მთელი ევროპა „განიხილავს“ საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის გაყრას კანონიერ მეუღლესთან – აი ეს კი იშვიათია პირველ პირთა ცხოვრებაში. არჩევნების წინ ცოლ-ქმარი სარკოზები რიგიანი ოჯახის დემონსტრირებას ეწეოდნენ ელექტორატის წინაშე. გახურებული კამპანიისას ცნობილი მეპიარე (პიარისტი ხომ არ ჯობია?ძ რიშარ ატიასი სარკოზის მრჩეველი უნდა გამხდარიყო. ის კი ადგა და, ხმებს თუ ვენდობით, შეფის ცოლის სესილიას საყვარელი გახდა. უცოდველი, ისე ჰგავს, არც თვით 52 წლის პრეზიდენტია. მოგვითხრობენ იმის რომანზე 43 წლის ჟურნალისტთან ანი ფულდასთან, თითქოს ქალი ბავშვსაც კი ელოდება. ადრე მითქმა-მოთქმამდნენ სარკოზის კავშირზე საფრანგეთის ექს-პრეზიდენტის ქალიშვილთან კლოდ შირაკთან. როგორც ვხედავთ, ადრინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ადრინდელი პატრონის ქალიშვილსაც შეჰბედა. ისე, სარკოზის ძარღვებში უნგრული, ებრაული და ბერძნული სისხლი სჩქეფს...

მეუღლეებმა (სარკოზებმაძ ერთად 10 წელი იცხოვრეს. ორივესთვის ეს მესამე ქორწინება იყო. სესილია ყოფილი მოდელი გახლავთ, ქმარი 1996 წელს მიატოვა და ორი ქალიშვილით წავიდა ნიკოლასთან, რომელსაც იმ მომენტისათვის უკვე ჰყავდა ორი ვაჟი პირველი ქორწინებიდან. სარკოზების საერთო ბიჭუნა ლუი ახლა 9 წლისაა.

ცოლ-ქმრის საბოლოო დაშორება თვენახევრის მერე გაფორმდება. დეკლარაციის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტის ქონება 2 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს. ამ ციფრში 75 ათასი გაფორმებულია ცოლისა და 3 ვაჟის სახელებზე...

დიახ, „პრაქტიკაში“, ჩვენთანაც და უცხოეთშიც, ხშირად გვხვდება სიტუაციები, როცა ადვილად ვერ გაიგებ, ვისი თხლე ვის ჯამშია. გამონაკლისი არც ძლიერთა ამა სოფლისა ცხოვრებაა...

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძე**


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.


## კადრი



## ანეკდოტები

– ავადმყოფო, რა სიმაღლისა ხართ?
– მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი, ექიმო.
– ექიმი კი არა, დურგალი ვარ.

* * *

ახალგაზრდა ლამაზი პაციენტი ქალი ექიმთან მიღებაზე მივიდა.
– გაიხადეთ!
– ოი, მე ძალიან მორცხვი ვარ, არ შეიძლება, რომ შუქი ჩააქროთ, ექიმო?
– კი, ბატონო...
– კარგია, მაგრამ ახლა რომ ვერაფერს ვხედავ? ტანსაცმელი სად დავდო?
– აგერ, ჩემი ტანსაცმლის გვერდით...



* * *

– ექიმო, რა მემართება? ცოლი მღალატობს, რქები კი არ ამომდის.
– კარგი რა, ეს ხომ ფიგურალური გამოთქმაა.
– გაგახარათ ღმერთმა, მე კი მეგონა, რომ ორგანიზმში კალცი მაკლდა.

* * *

– დაახველეთ, – ეუბნება ექიმი პაციენტს.
პაციენტმა დაახველა.
– თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ, ოღონდ – ძლიერად.
პაციენტი მთელი ძალით ახველებს.
– ოჰო, – ამბობს ექიმო, – და ხშირად გაქვთ ხველების ასეთი შემოტევა?

* * *

– ესეც ასე, ხვალ იგორ სტეპანიჩი გაგსინჯავთ, – ეუბნება ექიმი ავადმყოფს შემოვლისას.
– ვინ არის იგორ სტეპანიჩი?
– ჩვენი პათოლოგანატომი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.